პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის-თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-თანამშრომლებისათვის 75 კ., დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიანგს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible]—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 30 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გადადგა იტალიის შრომის რეფორმისტული ფედერაციის მდივანი დ'არაგონა
— შესრულდა წელიწადი, რაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სათავეში ჩაუდგა [illegible]
— უცხოეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა ხორცის პროდუქტებზე
— ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ჩავიდა მოსკოვში

პარასკევი, 9 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 232 (1387)

ნაკაზი

1903 წლის ახალ წვეულებს

თქვენ, რომლებიც შედიხართ მუშურ-გლეხურ წითელიარმიის რიგებში გაძლევთ შემდეგ ნაკაზს:

1. გახსოვდეთ, რომ წითელი არმია წარმოიშვა რევოლიუციის ქარცეცხლში, რომ იგი შექმნილია მუშების და გლეხების მიერ მსოფლიოში ერთად-ერთი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ხელისუფლების დასაცავად. როდესაც შეხვალთ მის რიგებში, გახდით მტკიცე და შეურყეველი მებრძოლები და ღირსეულად დაიცავით წითელარმიელის სახელწოდება.

2. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ბევრი მტრები გვყავს.

კაპიტალისტები, მემამულეები და მთელი მსოფლიოს მჩაგვრელები უცდიან ხელსაყრელ წუთს, რათა თავს დაესხან საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენი წითელი არმია კარგად უნდა იყოს გაწვრთნილი და მომზადებული, რათა ყოველ წუთს უკუაგდოს საბჭოთა ხელისუფლების მტრების თავდასხმა. იდექით მტკიცედ თქვენ სადარაჯოზე.

3. საბჭოთა კავშირი წარმოიშვა და განმტკიცდა წითელი არმიის გამარჯვებათა წყალობით. მისი მეოხებით ეს კავშირი გაიზარდა დიდ ძალად, რომელსაც ჩვენი მტრები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ. განამტკიცეთ ეს ძალა, დაიცავით ჩვენი ძლიერება.

4. იარაღი, რომელსაც განდობთ თქვენ საბჭოთა კავშირი, შეიყვარეთ დააფასეთ, მოუარეთ. იგი ეძლევა მხოლოდ მშრომელებს. იგი უნდა იმყოფებოდეს საიმედო ხელში. მაგრად და მარჯვედ გეჭიროთ მშრომელი ხელებით წითელი „ვინტოვკა".

5. ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ თავისი ბრძოლით სამოქალაქო ომის ფრონტებზე უძლეველი გახადა მუშათა და გლეხთა კავშირი—მისი აღთქმანი ღრმად უნდა ჩაიმარხოს გულში ყოველმა წითელარმიელმა. დეე, თვითეულმა ჩვენგანმა მისდიოს იმ გზას, რომელიც გვიჩვენა დიდმა ბელადმა, რ. კომპარტიის ხელმძღვანელობით.

6. ჩვენი მტრები თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული არიან. რათა გაუმკლავდეთ მათ, საჭიროა ზედმიწევნით შეისწავლოთ სამხედრო საქმე. წითელი არმიის ეხლანდელი ცხოვრება და სწავლება დამყარებულია თვითეული მებრძოლის თვითმოქმედების და შეგნების განვითარებაზე. იცოდეთ, რომ წითელარმიაში თქვენ მოგელით არა დასვენება, არამედ ხანგრძლივი, გულმოდგინე სწავლა და, შესაძლოა, ტანჯვა-წამება ბრძოლებში. თქვენ ერთგულებაზეა დამოკიდებული წითელი არმიის ბრძოლის უნარი. გულმოდგინეთ შეუდექით სამხედრო ცოდნის შეძენას.

7. დისციპლინის გარეშე არმია არ არსებობს. გახსოვდეთ ლენინის სიტყვები: „ვინც ყოველმხრივ, ერთგულად არ ეხმარება წითელ არმიას, ყოველი ძალ-ღონით არ იცავს დისციპლინას და წესრიგს—არის გამცემი და მოღალატე".

8. შეგნება, პოლიტიკური განვითარება, ამხანაგური შეკავშირება წარმოადგენს წითელი არმიის საფუძველს. წითელ ყაზარმაში თქვენ მოგელით სკოლა, კლუბი, პოლიტცოდნის შეძენა. ნუ დაჰკარგავთ დროს ისარგებლოთ სწავლის შესაძლებლობით. ეცადეთ გამოხვიდეთ ყაზარმიდან შეგნებული წითელ-არმიელები და მოქალაქენი.

9. გახსოვდეთ, რომ კომუნისტური პარტია დაუღალავად მუშაობს წითელი არმიის განსამტკიცებლად. დაიჭირეთ მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი ნაწილის უჯრედთან. შეხედეთ კომუნისტებს, როგორც თქვენს საუკეთესო ამხანაგებს.

10. წითელი არმია მუშათა და გლეხთა პირმშო შვილია. წითელი არმიის კავშირი მუშებთან და გლეხებთან—წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების და აწევის საფუძველს. დაიჭირეთ მუდმივი კავშირი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებთან.

11. წითელარმიელს ეზიზღება მთელი მსოფლიოს მემამულეებს და კაპიტალისტებს, მაგრამ სამაგიეროდ მას იმედით შესცქერიან ყველა ქვეყნის ჩაგრული მუშები და გლეხები. გახსოვდეთ, რომ თქვენ მზად უნდა იყოთ პირველ დაძახებისთანავე დაეხმაროთ განთავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელებს.

ახლად-გაწვეულნო, შეასრულეთ ჩვენი ნაკაზი.

იყავით ძველი წითელარმიელების ღირსეული მოადგილენი!

გაბედულად გასწით წინ, მხნე და გულადო მებრძოლებო!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი. თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო. ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

საპატიო მოვალეობა

ამ ჟამად მიმდინარეობს 1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ არმიაში. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, როგორც საორგანიზაციო, ისე სააგიტაციო-საპროპაგანდო, გასულ წლებთან შედარებით საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

მოსახლეობასა და ახალგაწვეულებს სავსებით აქვთ შეგნებული წითელი არმიის მნიშვნელობა, თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ჩვენი მშრომელი ხალხი უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩაბმული. ქვეყნის სამეურნეო აღორძინება და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა ყველასთვის თვალსაჩინოა. თავის თავად ცხადია, ასეთი მიღწევები შესაძლებელი იყო მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, რომელმაც გაანთავისუფლა მუშები და გლეხები მემამულეების და კაპიტალისტების უღლისაგან და თვითონ გახადა თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი. დაცვა რევოლიუციის მონაპოვართა და მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფა—ეს მშრომელთა სასიცოცხლო საქმეს წარმოადგენს.

მათ იციან, რომ ჩვენ ისევ გარშემორტყმული ვართ უთვალავი მტრებით, რომელთაც სწადიათ მშრომელთა დიქტატურის განადგურება. საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სიმტკიცე, წითელი არმიის ფოლადისებური რიგები არის უმთავრესი მიზეზი, რომლის წყალობით იმპერიალისტების ბოროტი განზრახვები მხოლოდ განზრახვებად რჩება. ბრძოლაში გამობრძმედილმა მუშურ-გლეხურმა არმიამ დაიცვა საბჭოთა რესპუბლიკები მსოფლიო ბურჟუაზიის იერიშებისაგან, იგივე უდგას დღეს დარაჯად ჩვენს მშვიდობიან შრომას.

ამიტომაა, რომ მშრომელი ხალხი ასეთი სიყვარულით და სიმპატიით ეპყრობა თავის დამცველ რევოლიუციონურ წითელარმიას; ამიტომაა, რომ ის დაინტერესებულია მისი გაძლიერებით. ამას ადასტურებს მიმდინარე გაწვევაც. მშრომელი მოსახლეობა სალისით გზავნის თავის შვილებს წითელ ყაზარმებში. მათ ზეიმით აცილებენ და აძლევენ „ნაკაზს" პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი. თვით გაწვეულებში არაჩვეულებრივი აღფრთოვანება სუფევს. არ არის არც ერთი შემთხვევა, რომ გასაწვევი ახალგაზრდა სრული ნებაყოფლობით და სიხარულით არ გამოცხადებულიყოს შესაკრებ პუნქტებზე. ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ დადასტურდა მთელი მშრომელი მოსახლეობის ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

სულ მოკლე დროში გაწვეული ახალგაზრდობა აღმოჩნდება წითელ ყაზარმის ახალ პირობებში, რომელსაც ის უნდა შეეჩვიოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ძველი არმიელნი და უფროსები მათ თბილათ შეხვდებიან. ახლად გაწვეულებმა უნდა შეითვისონ მტკიცე სამხედრო დისციპლინა და თავის მოვალეობათადმი შეგნებული და სერიოზული დამოკიდებულება, რაც საფუძველია წითელი არმიის სიძლიერის. ამავე დროს მათ გარშემო უნდა დამყარდეს ნამდვილი ამხანაგური ატმოსფერა. მათ უნდა იგრძნონ თავი, როგორც თავიანთ ძმებს შორის, როგორ თავის საკუთარ ოჯახში.

გარდა სამხედრო საქმის შესწავლისა, უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ახალ გაწვეულებში. წითელი არმია არის არა მარტო სამხედრო ორგანიზაცია, არამედ საუკეთესო სკოლაც, სადაც ახალგაზრდობა, უმთავრესად გლეხური ახალგაზრდობა, იძენს საჭირო ცოდნას, მაღლდება პოლიტიკურ-საზოგადოებრივ შეგნების მხრივ, ერკვევა თანამედროვე ცხოვრებაში. აქ იგი ხდება საბჭოთა რესპუბლიკის შეგნებულ მოქალაქეთ. უნდა ნახოთ წითელ ყაზარმიდან სოფლად დაბრუნებული გლეხი! იგი სავსებით გარდაქმნილია, ის ევლინება სოფელს მოწინავე ადამიანათ, რომელიც გლეხურ საზოგადოებრიობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამას თავისი საკუთარი თვალით ხედავს გლეხობა და ამიტომაც იგი ხალისით გზავნის ახალგაზრდობას წითელ ჯარში.

ვიმეორებთ, ახალგაწვეულების პოლიტიკურ და კულტურულ მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოთ აღსანიშნავია, რომ უნდა იქნეს განხორციელებული სწორი კომუნისტური ხელმძღვანელობა მათ მიმართ და საერთოდ წითელ არმიაში. ჯარში მომუშავე კომუნისტებს ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევთ.

აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას ახალგაწვეულების ცხოვრების კეთილმოწყობის და ნივთიერ უზრუნველყოფის დიდ მნიშვნელობას. ქვეყნის საერთო სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე წითელ არმიის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მისი ჩაცმა და კვება, ყაზარმების მოწყობილობა კარგ დონეზე დგას. ამას იგრძნობენ ახალგაწვეულნიც.

როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საკავშირო მთავრობის მიერ ამას წინედ გამოცემული კანონი ამბობს, წითელ არმიაში სამსახური მშრომელთა საპატიო უფლება და მოვალეობაა. სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმე მხოლოდ მათ აქვთ დაკისრებული. ეხლანდელი გაწვევის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ახალგაწვეული მშრომელი ახალგაზრდობა ღირსეულად შეასრულებს ამ საპატიო მოვალეობას.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამხ. რეინგოლდი საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ

გერმანია-საბჭოთა კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის მოხდა შეთანხმება გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის შესახებ

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ჩავიდა მოსკოვში

დელეგაციის თავმჯდომარის და მდივანის განცხადებით, ჩეხო-სლოვაკიაში კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ გაძლიერდა

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

საუბარი ამხ. რეინგოლდთან

მოსკოვი, 8 ოქტ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა რეინგოლდმა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა პარიზიდან, სადაც ის იყო გაგზავნილი საბჭოთა ფინანსიურ ექსპერტათ, შემდეგნაირად დაახასიათა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების მიმდინარეობა.

„ჩქარა შესრულდება წელიწადი საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ. ამ ერთმა წელმა დაგვანახვა, რომ ორივე სახელმწიფოს შორის სავსებით შესაძლებელია მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება. ორივე მთავრობის ამოცანას შეადგენს ყველა იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილება, რომელიც დაახლოვებას ეღობება.

არსებითად საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი არ ხედავს არავითარ სერიოზულ დაბრკოლებას, მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ საჭიროა ამის წინა დროინდელი ვალების საკითხის სასწრაფოთ მოწესრიგება. განსაკუთრებით ამას მოითხოვდა ერრიოს მთავრობა, რასაც შედეგად მოჰყვა საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობების ექსპერტთა შეხვედრა.

ექსპერტების წინაშე დასმული იყო ფრიად ძნელი ამოცანა სტატისტიკურად გამოერკვიათ ომის წინა დროის დავალიანების ის ჯამი, რომელიც რუსეთის ფასიან ქაღალდების ფრანგ მეპატრონეებს აქვთ ხელში. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ციფრი 17—18 მილიარდი ფრანკი, რომელსაც მოითხოვდა ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა კავშირი და რაც გაიმეორა ერიომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, საშინლად გადაჭარბებულია.

სტატისტიკურ მუშაობის შემდეგ დასმული იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი გზები უნდა იქნას გამონახული როგორც ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა პრეტენზიების, ისე სხვა ფინანსიურ საკითხების მოსაწესრიგებლად. საბჭოთა მთავრობა მტკიცეთ იცავს დეკრეტს ვალების გაუქმების შესახებ, მაგრამ მაინც მზად არის წავიდეს ერთგვარ საქმიან დათმობაზე.

რამდენადაც მრავალი ქვეყნების მაგალითმა დაგვანახვა, რომ შეუძლებელია ფინანსიურ ვალდებულებათა თავის თავზე დაკისრება საკრედიტო დახმარების გარეშე, იმდენად უფრო კანონიერია საკითხის ამგვარად დაყენება საბჭოთა კავშირის მხრივ, რომელმაც განიცადა ომის და ინტერვენციის მთელი სიმძიმე. საკრედიტო შეთანხმება მით უფრო ადვილი განსახორციელებელია, რომ იგი შეესაბამება საფრანგეთის საბანკო და სამრეწველო წრეების ინტერესებს, ვინაიდან მათ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვენში, როგორც ამერიკის და ევროპის კაპიტალის წარმომადგენლები.

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში წარმოებულმა მოლაპარაკებამ დაამტკიცა, რომ ჩვენ სერიოზულად გვსურს მივაღწიოთ მტკიცე შეთანხმებას. ჩვენ წინადადებებზე ჯერ კიდევ საფრანგეთის მთავრობას არ მოუცია საბოლოო პასუხი. მე ვფიქრობ, რომ მახლობელ კვირაში უნდა მოხდეს გარდატეხა მოლაპარაკების მიმდინარეობაში.

ებრაელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ამხ. ჩიჩერინთან

ბერლინი, 7 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს ამხ. ჩიჩერინმა მიიღო ადგილობრივ ებრაელების სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და პროფესორი ეინშტეინი. საუბარი შეეხებოდა ებრაელების კოლონიზაციას საბჭოთა კავშირში. ამხ. ჩიჩერინმა განუმარტა საბჭოთა მთავრობის პოზიცია ებრაელთა მიწათმოწყობის პროექტის შესახებ.

პირდაპირი მიმოსვლა გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს მიუნხენიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც დაესწრო ლიტვა-ლატვია-ესტონეთ-გერმანია-საბჭოთა კავშირის სარკინისგზო კონფერენციას. კონფერენციამ განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის ლიტვაზე, ლატვიაზე და ესტონეთზე პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ სვერჩკოვმა განაცხადა, რომ კონფერენციამ წარმატებით დაამთავრა თავისი მუშაობა. ტვირთების გადამგზავნელებს საშუალება ეძლევათ გაგზავნონ ტვირთები პირდაპირ გერმანიაში საბჭოთა კავშირის რკინის გზების ყოველ სადგურიდან.

გერმანიის მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო დელეგაციას, როგორც გზაში, ისე თვით გერმანიაში. საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა საზეიმო სადილი, რომელსაც დაესწრონ ესტონეთის, ლატვიის და ლიტვას წარმომადგენლები.

რას ამბობენ მუშები საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 8 ოქტ. ინგლისში მოსკოვიდან და ლენინგრადიდან დაბრუნდნენ ინგლისის კანტორის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი ქალები ფლორანსი, მაკდონალდი, დერრი, როჯერი, რომლებმაც შეისწავლეს საბჭოთა კავშირში საბჭოთა მოსამსახურეების შრომის და ყოფაცხოვრების პირობები.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ინგლისელმა დელეგატ-ქალებმა განაცხადეს, რომ ისინი გააოცა იმ განსაკუთრებულმა ყურადღებამ, რომელიც საბჭოთა კავშირში მიქცეული აქვთ მუშა-ქალებს.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 8 ოქტ. 7 ოქტომბერს ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია.

სადგურზე დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის მუშათა, სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები. დელეგაციის ჩამოსვლის შემდეგ ალექსანდროვის სადგურის ბაქანზე გაიმართა მიტინგი.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში 4—5 დღე, რის შემდეგაც დელეგატები გაემგზავრებიან პროვინციაში.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარესთან

მოსკოვი, 8 ოქტ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ კმენტმა განაცხადა:

„ჩეხო-სლოვაკიის მუშები განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა დიდ ზეგავლენას ახდენენ მთავრობაზე და მოითხოვენ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. ჩეხო-სლოვაკიის მუშები ამ საკითხით ძალიან არიან დაინტერესებული, ვინაიდან ჩეხოსლოვაკია იხრჩობა საქონლის ბაზრის უქონლობის გამო.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის ცნობაზე ალაპარაკდა სამრეწველო ბურჟუაზიაც. საბჭოთა მთავრობის ცნობის მომხრეთა პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდება ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის გამომგზავრებას საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო მუშების სურვილმა ზეგავლენა მოახდინონ თავის მთავრობაზე და აიძულონ იგი იცნოს საბჭოთა კავშირი.

დელეგაციის მეორე ამოცანას შეადგენს მუშათა მოძრაობის ერთიანი ფრონტის შედგენა.

საუბარი დელეგაციის მდივანთან

მოსკოვი, 8 ოქტ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის მდივანმა სთქვა:

„დელეგაციის გამოგზავნის ინიციატივა ეკუთვნის ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საბჭოს. ამ საბჭოს გადაწყვეტილებამ დელეგაციის გამოგზავნის შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია ბურჟუაზიულ პრესაში და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების და ფაბრიკანტების წრეებში. მიუხედავათ იმისა, რომ ფართოდ ეწეოდენ აგიტაციას დელეგაციის გამომგზავრების წინააღმდეგ, ხელმოსაწერი ფურცლებს პირდაპირ იტაცებდენ ფაბრიკა-ქარხნებში. მუშები სიამოვნებით იძლეოდენ შემოწირულებას დელეგაციის სამგზავრო ხარჯების დასაფარავად.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ხარბინი, 7 ოქტ. 3 ოქტომბერს შესრულდა ერთი წელი იმ დღიდან, რაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველობას სათავეში ჩაუდგა ახალი ჩინეთ-საბჭოთა ადმინისტრაცია.

მექანიკურ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების კრებაზე გზის უფროსმა ივანოვმა გააკეთა მოხსენება გზის მუშაობის შესახებ გასული წლის განმავლობაში; მან აღნიშნა, რომ გზის ფინანსიური მდგომარეობა საუკეთესოა. მუშაობის დაწყების დროს ახალმა გამგეობამ ჩაიბარა ცარიელი სალარო და ვალები ვალად დარჩენილი თანხა—10 მილ. მანეთი. ეხლა გზას აქვს ნაღდი ფული 7 მილიონი მანეთი და გარდა ამისა აღებულია ყველა ვალები, გარდა ისეთებისა რომლებიც არასოდეს არ აიღება. ზაფხულის განმავლობაში გაწეული იყო დიდი სააღმშენებლო მუშაობა: აგებულია რამოდენიმე ახალი სკოლა-სადგური, შენობები მოსამსახურეებისათვის. გზის ადმინისტრაციის და მუშა-მოსამსახურეების ფართო მასებს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა.

დ'არაგონას გადადგომა

რომი, 7 ოქტ. იტალიის შრომის რეფორმისტული კონფედერაციის აღმასკომის პლენუმის სხდომაზე კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა დ'არაგონამ მოითხოვა გადადგომა. გადადგომა მიღებულ იქნა.

დ'არაგონა იტალიის პროფესიონალური მოძრაობის ერთ-ერთი უძველესი ბელადთაგანია. უკანასკნელ დროს ძლიერ გადიხარა მარჯვნივ. თავის დროზე დ'არაგონა მონაწილეობას იღებდა იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგაციაში, რომელმაც შეთანხმება დასდო მოსკოვში კომინტერნთან, შემდეგში, როცა იტალიაში ქარხნები ხელში ჩაიგდეს მუშებმა, დ'არაგონამ მთავრობასთან დასდო ხელშეკრულება ქარხნების განთავისუფლების შესახებ და ჩაშალა რევოლიუციონური პროლეტარიატის ეს გამოსვლა.

ფაშისტური ტერორი

გლეხების დევნა დასავლეთ ბელორუსიაში

მინსკი, 8 ოქტ. დასავლეთ ბელორუსიიდან (პოლონეთი) მიღებულ ცნობების თანახმად რეჟანში დაპატიმრებულია 200-ზე მეტი გლეხი, რომელთაც ბრალად ედებათ კომპარტიის წევრობა. დაპატიმრებულებს აწამებენ. დაპატიმრებულთა შორის იმყოფებიან ღრმა მოხუცებულები.

გაასამართლეს 180 გლეხი, რომელთაც ბრალად ედებათ ხე-ტყის მოპარვა თავად რაძივილის მამულიდან. სასამართლომ მიუსაჯა გლეხებს დაჯარიმება და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგეს გლეხების ქონების საჯაროთ გაყიდვას. გლეხებმა ნება არ მისცეს პოლიციელებს გაეყიდათ მათი ქონება. გლეხების ერთი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა.

რუმინეთის „ოხრანკა" „მუშაობს"

ვენა, 7 ოქტ. „ოხრანკის" ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ თითქოს აღმოჩენილ იქნა დიდძალი „რუსული" იარაღი და სამხედრო მასალა და რომ, თითქოს, მზადდებოდა აჯანყება და თავდასხმა რუმინეთის მეფეზე, 11 ოქტომბერს, როცა მეფე იქნებოდა ზეიმზე იასაში.

ლიუტერისა და ბრიანის შეხვედრა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ლოკარნოში იუწყება: ლოკარნოს გარეთ მოხდა გერმანიის რეიხსკანცლერის ლიუტერისა და ბრიანის შეხვედრა. ამბობენ, რომ შეხვედრა მესამე მხარის ინიციატივით მოხდა.

ლოკარნოს კონფერენციაზე

პარიზი. 7 ოქტომბერი. ლოკარნოდან იუწყებიან, რომ კონფერენციის მეორე სხდომის შემდეგ მისმა მონაწილეებმა უარი გამოუცხადეს პრესის წარმომადგენლებს რაიმე განცხადების მიცემის შესახებ. ხმებია, რომ გერმანიის დელეგატებში სერიოზულ დისკუსიას ჰქონდა ადგილი.

ამასთანავე ნაციონალისტები სასტიკათ ილაშქრებენ შტრეზემანისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. ბრიანმა თითქოს განაცხადა, რომ საფრანგეთი მზადაა შესამჩნევ დათმობებზე წავიდეს გერმანიის მიმართ კელნის ევაკუაციის საკითხში და საარისა და რეინის ოლქებში საოკუპაციო რეჟიმის შეცვლაში. შემდეგ ბრიანმა განაცხადა, რომ ეს კონფერენცია—უკანასკნელი ცდაა მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში და შეუძლებელია გავითვალისწინოთ ის შედეგები, რაც ამ კონფერენციის ჩაშლას მოჰყვება.

საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების ცეკას პლენუმი

პარიზი. 7 ოქტ. საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების მეორე სხდომაზე მიიღეს საბჭოთა დელეგაციის რეზოლიუცია საბჭოთა წარმომადგენლების რიცხვის შეუმცირებლობის შესახებ საკონტროლო კომიტეტში 1927 წლის კონგრესამდე.

ომი მაროკოში

პარიზი, 7 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთისა და ესპანეთის კავალერიამ კავშირი აღადგინეს ჯებელ-ბუხაიდურის რაიონში.

ამერიკის რადიო ჟურნალის შეკითხვა

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების ნიუ-იორკის რადიო-ჟურნალმა მიმართა თხოვნით აცნობონ მას, რამდენ ძალიანია ჩვენი რადიოსადგური ნიჟნი-ნოვგოროდში, რადგან ამერიკაში გავრცელდა ხმა, რომ ეს სადგური უფრო მძლავრია ვიდრე ამერიკის უდიდესი დევანის რადიო-სადგური.

ნიჟნი-ნოვგოროდში მართლაც მოწყობილია ძლიერი რადიო-გადამცემი მოკლე ტალღებიანი სადგური, რომლის ანტენები მიმართულია ტაშკენტისა და შორეულ აღმოსავლეთისაკენ. ცდებმა გვიჩვენა, რომ ამ სადგურის გადაცემა მშვენივრად ისმის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში და ავსტრალიაში.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა გაზეთებიდან

ერთი მტკივნეული საკითხთაგანი

ჩვენ ვლაპარაკობთ მშრომელ ებრაელების მიწათმოწყობაზე. როგორც ვიცით, ებრაელობა, მთელ რიგ გარემოებათა წყალობით, არ მისდევდა სასოფლო მეურნეობას. მისი მეტი წილი ვაჭრობაში იყო ჩაბმული. საბჭოთა ხელისუფლებას აღებული აქვს კურსი სახელმწიფო ვაჭრობაზე და კოოპერაციაზე. კერძო ვაჭრობა, რომელიც შეადგენდა ებრაელთა მრავალრიცხოვანი მასსის პროფესიას, თანდათან კარგავს ნიადაგს, და იგი გალატაკების გზას ადგება. ამასთან საჭიროა, განახლებული ცხოვრების პირობების მიხედვით, ებრაელობის ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა. კერძოდ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი გადაყვანას სასოფლო მეურნეობაზე. ამ მიზნით საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოსთან კიდეც დაარსებულია მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტი.

„Рабочая газета"-ში მოთავსებულია საუბარი ამხ. კალინინთან ებრაელთა მიწათმოწყობის შესახებ. იგი ამბობს:

„ჩვენ მხოლოდ ეხლა შევუდექით ამ ამოცანის განხორციელების დაწყებას. მშრომელ ებრაელთა მხურვალე სტიქიურ მისწრაფებას შეადგენს გადასვლა სასოფლო მეურნეობაზე. ცაკის პრეზიდიუმის მიერ დაარსებულ „მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის" ერთი წლის მუშაობის განმავლობაში სასოფლო მეურნეობაზე გადავიდა ექვსი ათასი ებრაელი ოჯახი, რომელნიც, მიუხედავად უდიდეს სიძნელეთა, რომელიც დაკავშირებულია ქალაქიდან სასოფლო ცხოვრებაზე გადასვლასთან, იჩენენ უაღრეს შრომითი აღფრთოვანებას, და მათ შესძლეს მეურნეობის დაყენება იმ დონეზე რომელიც აღემატება მეზობელ გლეხურ მოსახლეობის მეურნეობის დონეს".

მშრომელ ებრაელების ჩაბმა სასოფლო მეურნეობაში, ეს სრულებით ახალი ხანის დასაწყისია მათ ცხოვრებაში. ამ პროცესს ჩვენ ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი.

საჭიროა სიმტკიცე

მეტად საჭირბოროტო საკითხს ეხება ამხ. გურვიჩი „Торгово-промышленная газета"-ში, სახელდობრ ანგარიშების შედგენის გამარტივებას. ვინც გაცნობილია ჩვენი სამეურნეო ორგანოების საქმიანობას, მას ეცოდინება, რომ საგრძნობი წილი მათი მუშაობისა უნდება სხვადასხვა ანგარიშების შედგენას. ანგარიშებს და სტატისტიკურ მასალებს ითხოვენ ინსპექცია, საგეგმო კომისია, სტატისტიკის სამმართველო და მრავალი სხვა დაწესებულება. ეს ხდება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით.

ამხ. გურვიჩი სწერს:

„ჩვენ მოვახდინეთ იმ დროის დაახლოვებითი გამოანგარიშება („ქიმიური ნახშირის" დაწესებულებებში), რომელიც აუცილებელია ყველა ზემოთ აღნუსხნულ მოთხოვნათა შესასრულებლათ (ამხ. გურვიჩს ჩამოთვლილი აქვს ეს მოთხოვნები), და აღმოჩნდა, რომ იგი ართმევს აპარატს საერთო ჯამით ექვს თვეზე არა ნაკლებს, რომ არ ჩავთვლოთ საჭირო დრო მასალის დასაბეჭდათ და გასამრავლებლათ".

ასეთი მდგომარეობა ძალიან აფერხებს სამეურნეო დაწესებულებათა ორგანიულ მუშაობას. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ანგარიშწარმოება ყველგან სათანადო სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული, მაგრამ ამავე დროს ამ საქმეში უნდა იქნეს შეტანილი სიმარტივე, რომელსაც უნდა მოჰყვეს შრომის, დროის და ხარჯების ეკონომია. ამხ. გურვიჩიც ამბობს:

„ოდნავადაც არ უარვყოფთ რა საანგარიშო-სააღრიცხვო მუშაობის მნიშვნელობას და სავსებით ვცნობთ რა, რომ „სოციალიზმი—ეს აღრიცხვაა", მაინც უნდა გავიაროთ, რომ სიტყვა აღრიცხვა ჰგულისხმობს მიზანშეწონილ და გონიერ რამეს, და არა აღრიცხვას აღრიცხვის გულისათვის, ვინაიდან მას არ შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ უნდა ასრულებდეს მხოლოდ დამხმარე როლს საოპერაციო მუშაობაში. ამ მიზნით ჩვენ ვაყენებთ საკითხს საგეგმო და მომწესრიგებელი ორგანოების მხრით აღრიცხვის ფორმების გადასინჯვის, მათი უნიფიკაციის და გამარტივების, მოსათხოვნ ცნობათა რაოდენობის შემცირების შესახებ".

წამოყენებული საკითხი ღირსია განსაკუთრებული ყურადღების და მის გადასაჭრელად ჩვენმა სათანადო ორგანოებმაც უნდა მიიღონ საჭირო ზომები.

თეთრგვარდიელთა პრესა

„გული გულს სცნობს"

ბერლინში გამოდიოდა გაზეთი „დნი". ესერებს ეკუთვნოდა ეს გაზეთი. კერენსკი იყო მისი სულის ჩამდგმელი. მაგრამ ფული შემოაკლდა და მოკვდა. გავიდა სამი თვე. როგორც ეტყობა, რომელიღაც სოვდაგარს ფული გაუმეტებია მისთვის და ისიც გამოსულა. საიქიოდან გამომძვრალს ესალმება ახლა მილიუკოვი თავის გაზეთ „პოსლედნიე ნოვოსტი"-ში. ის იგონებს წარსულს და სწერს ასე:

„ჩვენი პარტია იძლევა ბევრ მაგალითს თავის თანამშრომლობისას რუსეთის სოციალისტურ მიმდინარეობებთან. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ბოლშევიკებთან, რომლებსაც ჩვენ და სოციალისტური პარტიები ერთნაირათ მტრულად და რევოლიუციონერად ვეპყრობით, როგორც დემოკრატიის შეურიგებელ მტრებს,—ჩვენ წარმოვადგენთ მთლიან ფრონტს... აი რატომ ვეგებებით ჩვენ გულწრფელად უფრო მემარცხენე მიმდინარეობის გაზეთის გამოსვლას პარიზში".

მილიუკოვი ლაპარაკობს ჭეშმარიტებას, თუმცა აქ ახალი არაფერია. „მემარცხენეების" (ესერების) და მემარჯვენეების (კადეტების და შავრაზმელების) ერთიანობის ფაქტები რევოლიუციონერების სისხლით არის აღბეჭდილი ჩვენი რევოლიუციის ისტორიის ფურცლებზე და როდესაც შინაური კონტრ-რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ეს „მემარცხენეები" ცდილობენ ხოლმე გაიბერტყონ „ფერხთაგან" ამ წარსულის მტვერი, ზედმეტი არ იქნება მათ მოვაგონოთ ის, რასაც ლაპარაკობს ასე პირდაპირ მილიუკოვი, რომელიც ამ გულახდილობისათვის დიდ მადლობას არ დაიმსახურებს „სოციალისტებისაგან", კერძოდ ეს ერებისაგან.

გერმანელი მენშევიკები და კადეტები

გერმანელ მენშევიკების ყრილობის გადაწყვეტილებებს სიხარულით ეგებება მემარჯვენე კადეტების გაზეთი „რულ". სრული საბუთიც აქვს, რადგან, როგორც გაზეთი შენიშნავს,

„ამ ყრილობაზე, რომელზედაც პრინციპიალურად გადაწყდა მთავრობაში მონაწილეობა თუ გინდ მსხვილი კაპიტალის პარტიასთანაც, მენშევიკურმა პარტიამ გადადგა ნაბიჯი თავის განთავისუფლებისაკენ მარქსისტულ ბალასტისაგან".

ასეთი ნაბიჯები თუმცა ახალი არ არის, მაგრამ მაინც იწვევენ სიხარულს კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებში, იხილავს რა ყრილობის გადაწყვეტილებას საქსონიის „მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მუშაობის მოწონების" და „მემარცხენეთა" დაგმობის შესახებ და გარდა ამისა ახალ პარტიულ პროგრამაი—გაზეთი ასე ათავებს:

„ამნაირათ, როგორც საქსონიის კონფლიქტის და ახალი პროგრამის, ისე მთავრობაში შესვლის საკითხში, აშკარათ გამოირკვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ევოლიუცია მარქსისტული რევოლიუციონური პარტიისაგან ნაციონალ-ლიბერალური პარტიისაკენ შეუწყვეტლივ გრძელდება".

ჩვენთვის ეს ახალს არაფერს წარმოადგენს, მას შემდეგ, რაც სწორეთ ამ ნაციონალურ-ლიბერალური პროგრამის (ე. ი. კონტრ-რევოლიუციონურ) ნიადაგზე მდგარი ებრძოდა სოციალ-დემოკრატია რევოლიუციას გერმანიაში. მაგრამ ამ რევოლიუციის მტრების მოწმობა აღსანიშნავია, რადგან ისინი ლაპარაკობენ კლასიურ სიმართლეს.

რა ხდება უცხოეთში

მღვდლების ინტერნაციონალი

19-დან 29 აგვისტომდე სტოკჰოლმში (შვეცია) დიდი ზეიმით მიმდინარეობდა ინგლისური, ლიუტერანული, პროტესტანტული და მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა ყრილობა. დედამიწის ყოველი კუთხიდან—სამხრეთ - ამერიკიდან, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ეგვიპტიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საბერძნეთიდან სხვა სახელმწიფოებიდან მოიყარეს თავი ხუცებმა მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე.

მსოფლიო ომმა, რომელმაც მრავალი რამ დაანგრია, მოსპო აგრეთვე ფართე მასებში რწმენა, რომ ეკლესია არის მშვიდობიანობის და კაცთა შორის სიყვარულის საფუძველი. ახლა სხვადასხვა ქვეყნის მღვდლებმა გადასწყვიტეს, შექმნან საკუთარი ინტერნაციონალი, რომ იხსნან საბოლოო დაშლისაგან ქრისტიანული ეკლესიის ძირმომპალი შენობა.

და აი სტოკჰოლმს 19 აგვისტოს ჰქონდა არაჩვეულებრივი სურათი: ხუცების პარადი.

თუმცა ყრილობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ „ამ ქვეყანათ მშვიდობაზე და კაცთა შორის ძმობაზე", მაგრამ რომ მღვდლები შეიკრიბნენ იმ მიზნით, რომ შექმნან ბურჟუაზიის დამხმარე ორგანიზაცია მუშათა კლასის წინააღმდეგ, ამას ამტკიცებს თუნდ ის ფაქტი, რომ მისასალმებელი სიტყვით ყრილობაზე გამოვიდა „თვით" შვეციის მეფე და მას დეპეშით მიესალმენ რეაქციონური მთავრობების ხელმძღვანელები და მრავალი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები.

ამ მოღვაწეებს შორის იყვენ—ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი, გერმანიის „დემოკრატიული" რესპუბლიკის პრეზიდენტი ფონ-ჰინდენბურგი და „სოციალისტი" რამზაი მაკდონალდი. მეტად საინტერესოა ამ „ქრისტიანული სოციალისტის" წერილი:

„ჩემი სურვილს—არა მარტო მიმეღო მონაწილეობა ამ კრებაში, არამედ ამავე დროს გამომეთქვა ჩემი ღრმა პატივისცემა იმ დაუშრეტელი ლტოლვისადმი იხსნან ღირსება ეკლესიისა, რომელიც ისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ,—უნდა მივეყვანე მე სტოკჰოლმში, რომ ამის საშუალება მქონოდა.

მთელი მსოფლიოს მდგომარეობა ახლა მოითხოვს ქრისტიანული მცნების დახმარებას არა მარტო როგორც მსაჯულისა და მკურნალის, არამედ აგრეთვე, როგორც ხელმძღვანელისას.

იმ დროს, როცა ადამიანები და ერები გზაკვალაბნეული დახრწიან და ეძებენ რწმენას იქ, სადაც ასეთი არ არსებობს, მათი გამხნევება, რათა მიუხედავათ გაჭირვებისა განამტკიცოთ რწმენით ღვთისადმი, გაყვენ მის გზას, რომელიც არის ამავ დროს პატიოსნებისა და სიცოცხლის გზა.

რ. მაკდონალდი.

ყრილობაზე გაირჩა მრავალი საკითხები: კათოლიკების ზნეობრივი თვითგამორკვევა, ისტორიის სახელმძღვანელოების გადასინჯვა მათში ქრისტიანიზმის პრინციპების გაძლიერების მიზნით, სამღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ კერძო სკოლებში, ერთა ლიგის დარწმუნება იმაში, რომ თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდგას ქრისტიანული მორალი და სხვ.

ყრილობაზე გაილაშქრეს, — რასაკვირველია, „ურწმუნო" ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეპისკოპოზმა რაიკოფმა სთქვა: „ქრისტიანული პრინციპებით წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ თანამედროვე ბოროტებას, განსაკუთრებით ბოლშევიზმს".

მეორე ორატორმა, ჰოლანდიელმა ღვთისმეტყველმა სტოლემ-კერ-დე-ბრუინმა სთქვა, რომ „საჭიროა ყოველმხრივ ხელი შეუშალოთ იმ წარმოდგენას, რომ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში არსებობენ მხოლოდ კლასები. ჩვენ ერთმანეთს უნდა ვსთვლიდეთ ერთი ოჯახის წევრათ და ამაში მდგომარეობს ეკლესიის უდიდესი ამოცანა".

ყოველი სხდომა იწყებოდა წირვით, რომელსაც ასრულებდენ რიგრიგობით ცალკე ეკლესიების წარმომადგენლები. ყრილობა დამთავრდა „აღმასკომის" არჩევით.

სამწუხაროა, რომ მაკდონალდი ვერ დაესწრო ამ კონგრესს, თორემ მას არ ასცდებოდა „მღვდელთა ინტერნაციონალის აღმასკომის წევრობა".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ქარიშხალი ბალტიის ზღვაზე

ლენინგრადი, 8 ოქტომბერი. ბალტიის ზღვაზე მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი, ყველა სავაჭრო გემები თავს აფარებენ ნავთსადგურებს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ფლოტი, რომელიც სავარჯიშოთ არის გასული, გავიდა გოტლანდიის მახლობლათ და ეხლა ბრუნდება უკანვე.

ლენინის ძეგლი ლენინგრადში

ლენინგრადი, 8 ოქტომბერი. კომუნალური მეურნეობის განყოფილება შეუდგა ლენინის ძეგლის საძირკველის ჩაყრას ფინეთის სადგურის მახლობლად. საძირკველი წონით იქნება 10,000 ფუთი. ძეგლის სიმაღლე კვარცხლბეკით და ფიგურით—[illegible] ნახ. მეტრი.

ხორცის პროდუქტების გატანა უცხოეთში

მოსკოვი, 8 ოქტ. მსოფლიო ომის დროს ჩვენი ხორცის პროდუქტები განდევნილი იყო უცხოეთის ბაზრებიდან ამერიკის და ავსტრალიის პროდუქტებით. ჩვენი ხორცის პროდუქტებზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ჩეხო-სლოვაკიის ბაზრებზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით, გასული საოპერაციო წლის 11 თვის განმავლობაში უცხოეთის ბაზრებზე გასაღებულ იქნა დაახლოვებით 2 მილ მანეთის ხორცის პროდუქტი. მსოფლიო ბაზრის გამოკვლევიდან სჩანს, რომ მახლობელ წლების განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია წინ გაუსწროთ 1913 წლის ექსპორტს, რომელიც უდრიდა 10 მილ. მანეთს.

ცენტრალური კომუნალური ბანკი

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ცენტრალურ კომუნალურ ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ბახისმა განაცხადა:

კომუნალურ მეურნეობის და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალურ ბანკის საბჭომ დაამტკიცა ბანკის საკრედიტო გეგმა 1925—26 წლისათვის. 1925—26 წლისათვის ბანკმა მიიღო აღმასკომების, სამეურნეო ორგანოების და კოოპერაციისაგან შუამდგომლობა 224 მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ საბინაო აღმშენებლობისათვის და 79 მილიონი მანეთის—კომუნალურ მეურნეობისათვის. ასეთი მოთხოვნილება სრულიადაც არ არის გადაჭარბებული, მაგრამ ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა, მიიღო რა მხედველობაში რეალური შესაძლებლობანი, შეადგინა გეგმა 1925—26 წლისათვის 168 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 103.500.000 მანეთი გაცემული იქნება საბინაო აღმშენებლობისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურის გაფართოება

ბათომი, 8 ოქტ. ბათომის ნავთსადგურის სამმართველოსთან არსებულმა თათბირმა სცნო, რომ ნავთსადგურის ტვირთბრუნვა გადიდდება მახლობელ 5 წლის განმავლობაში 175—180 მილ. ფუთამდე წლიურად. ამის გამო ისმება საკითხი ნავთსადგურის გაფართოების შესახებ. თათბირის აზრით, უფრო მიზანშეწონილია ნავთსადგურის გაფართოება ნაპირისაკენ სამუშაოების პროექტის მიხედვით, საჭიროა ახალი ნავთის დასატვირთავი ნავთსადგურის და მის დასაცავ ჯებირის გაკეთება.

თათბირმა დაადგინა დაკითხოს ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, რამდენად შესაძლებელია ნავთსადგურისათვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფა, აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს, შესაძლებელია თუ არა ნავთსადგურის გაფართოების გამო საბარგო სადგურის სხვა ადგილას გადატანა.

მუშათა ტეხნიკუმი

ბათომი, 8 ოქტ. საქ. კომპარტიის აჭარისტანის კომიტეტის სააგიტაციო კოლეგიამ დაადგინა მოხდეს ტეხნიკუმის სრული რეორგანიზაცია, გადაკეთებულ იქნეს ის ნორმალურ სასწავლებლად, გადასინჯულ იქნეს მასწავლებელთა შემადგენლობა, მოხდეს მსმენელთა აკადემიური შემოწმება და ხელახალი რეგისტრაცია, შემუშავებულ იქნეს განყოფილებათა დატვირთვის მტკიცე ნორმები და გახსნილ იქნეს მთავარი განყოფილებები ქართულ ენაზე. ყველა ამ ღონისძიებათა გასატარებლად, დადგენილ იქნა შესწყდეს მეცადინეობა 1 თვით.

აზერბეიჯანი

კოოპერატივი „გორნიაკ"

ბაქო, 8 ოქტ. 1924 წლის ოქტომბრიდან 1925 წლის ოქტომბრამდე კოოპერატივ „გორნიაკ"-ის წევრთა რიცხვი 28,000-დან გაიზარდა 57,680-დე.

საერთო სავაჭრო ბრუნვა გასული წლის განმავლობაში უდრის 12,360,000 მანეთს.

ახალ საოპერაციო წლისათვის „გორნიაკ"-ს განზრახული აქვს გასცეს გრძელვადიანი კრედიტით 2 მილ. მანეთის საქონელი.

ბაქოს ნავთსადგურის შეკეთება

ბაქო, 8 ოქტ. ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა განყოფილებამ ბაქოს ნავთსადგურის შესაკეთებლად დაუკვეთა „ნოვოროსცემენტ"-ს 3000 ბოჭკა ცემენტი.

მოსავლის დღე

ბაქო, 8 ოქტ. მოსავლის დღე აზერბეიჯანში აღინიშნა მთელს მაზრებში მუშების და გლეხების მიტინგებით და დემონსტრაციებით. აგდამში დემონსტრაციების დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა კოოპერატივმა გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 2,000 გლეხი.

სომხეთი

კერძო საკრედიტო საზოგადოება.

ლენინაკანი, 8 ოქტ. სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა ურთიერთ დახმარების კერძო საზოგადოების გახსნა.

საზოგადოებას ჰყავს 173 წევრი, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ წვრილი ხელოსნები. საწევრო გადასახადის შეტანა უფლებას აძლევს წევრს მიიღოს სესხი ხუთჯერ მეტი რაოდენობით.

პარტიული ცხოვრება

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ს. ქ. პ. ცეკას სააგიტ.-საპროპ. განყოფილება გაცნობებთ, რომ სოფლის უჯრედის მდივნების კურსების პირველი ჯგუფი დაასრულებს მეცადინეობას ოქტომბრის 20-თვის; შემდეგი ჯგუფის მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 25-დან.

საოლქო და სამაზრო კომიტეტებს ევალებათ აღნიშნულ დროისთვის გამოგზავნონ მდივნები თბილისში (მისამართი: სიონის, № 32).

ვინაიდან კურსები მოკლევადიანია, საჭიროა მიიღოთ ზომები, რომ გამოგზავნილი ამხანაგები დროზე გამოცხადდენ მივლინების ადგილას.

კურსებზე გამოგზავნეთ ისეთი მდივნები, რომლებიც თავისუფლად სწერენ და ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. მიღების პირობები ისეთივეა, როგორც წინად.

განაკვეთი: აჭარისტანი—2; ოზურგეთის მაზრა—3; ზუგდიდის მაზრა—4; სენაკის მაზრა—3; ქუთაისის მაზრა—3; ლეჩხუმის მაზრა—4; რაჭის მაზრა—4; სვანეთი—2; შორაპნის მაზრა—3; გორის მაზრა—4; თბილისის მაზრა—4; სიღნაღის მაზრა—4; დუშეთის—4; თელავის—4; ახალციხის—2;

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ვ. ბახტაძე.

ორიოდე სიტყვა სოფლად მუშაობის შესახებ

კომუნისტური პარტიის გადაუდებელი ამოცანა სოფლად კულტურული მუშაობის გაცხოველებაა. ამ საკითხის შესახებ ბევრი დაწერილა და დღესაც იწერება ჩვენს პრესაში.

როგორც ვიცით, სოფლად კულტურული მუშაობის სათანადოთ მოგვარებისათვის ამ სამი თვის წინად საქ. ცენტრალურმა კომიტეტმა მობილიზაცია გაუკეთა ცენტრალური პარტ-სკოლის დამთავრებულ 9 საუკეთესო ამხანაგს და ისინი გაანაწილა სხვადასხვა მაზრებში. ამ ამხანაგების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს სოფლად მოძრავი პოლიტ-ცოდნის სკოლების დაარსება და მათზე ხელმძღვანელობის გაწევა. ამ მიზნისათვის ეს ამხანაგები კიდევ მჭიდრო კავშირს იჭერენ ამა თუ იმ რაიონის ერთ ან ორ თემთან, სადაც აარსებენ და ხელმძღვანელობენ აღნიშნულ სკოლებს. ამ სკოლებს მეტად თვალსაჩინო შედეგები მოაქვს სოფლად პარტ-ამხანაგების კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონის ამაღლების საქმეში.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვითეული რაიონი 5—6 ან კიდევ მეტი თემისაგან შესდგება, რომელთა უმეტესი ნაწილი თითქმის სრულიად მოკლებულია ამ ამხანაგების ხელმძღვანელობას, რასაც ამ თემებში შეუძლია წარმოშვას ერთგვარი უკმაყოფილება. აი ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სკოლების ხელმძღვანელ ამხანაგებს მიეცეს სრული შესაძლებლობა, რათა მათ მოაწყონ ასეთი სკოლები რაიონის ყველა თემებში. თუ ეს მოხერხდა, ასეთი სკოლები ისეთ ადგილას მაინც უნდა დაარსდეს, სადაც მოიპოვება პარტიის 10-დე და კომკავშირის 20-დე წევრი. ამ შემთხვევაში კი მოძრავ სკოლების ხელმძღვანელებს ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან უნდა აღმოეჩინოს ყოველმხრივი დახმარება, კერძოთ კი ასეთი დახმარება საჭიროა, თემის მიმოსვლის საქმეში, რადგან ზოგ რაიონში სოფლები ისე დიდ მანძილით არიან ერთი მეორესაგან დაშორებული, რომ ერთ და იმავე დღეს ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ყველა თემებში ფეხით მისვლა, იქ მეცადინეობის ჩატარება და შემდეგ ისევ უკან დაბრუნება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საჩხერეს რაიონი, სადაც კორბეული, ლიჩი და სხვა თვალსაჩინო თემები 18 ვერსის მანძილით არიან დაშორებული ცენტრიდან. ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიაც.

გარდა ამისა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულ ამხანაგებს აქვთ საკმაო ცოდნა და გამოცდილება, რაიც იძლევა შესაძლებლობას, რომ ისინი სხვა მხრივადაც იქნენ გამოყენებული. ამა თუ იმ თემაზე მოხსენებების გაკეთება, სოფლად ლიტერატურული გასამართლების მოწყობა, რაიც გლეხობას თეატრზე უფრო მეტად იზიდავს და მრავალი სხვა,—აი ამ მხრივ ამ ამხანაგების გამოყენება აუცილებელი და საჭიროცაა. მაგრამ ამ ამოცანის სათანადო გადაჭრა მეტ წილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეუწყობენ ხელს სოფლად სამუშაოდ გაგზავნილ ამხანაგებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

თ. ცინცაძე.

როგორ უნდა იბრუნონ კომკავშირლებმა „პირი სოფლისაკენ"

ბევრი ითქვა, თუ რას ნიშნავს ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ". მაგრამ ზოგიერთ ქალაქელ კომკავშირელთ ამ ლოზუნგის მნიშვნელობა და შინაარსი დღესაც არ აქვთ შეთვისებული. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მრავალ მაგალითების მოყვანა: ქალაქიდან სოფელში ჩასული კომკავშირელნი ყოყოჩობენ, არ ეკარებიან უჯრედს ან თუ მივიდნენ, დეზორგანიზაცია შეაქვთ მის მუშაობაში: „ეს საქმე ჩვენ დიდი ხანია გავაკეთეთ, თქვენ ჩამორჩენილი ყოფილხართო". გარდა ამისა სოფლელ ამხანაგებს, რომელნიც მოხსენებას აკეთებენ უჯრედის სხდომებზე, ქალაქელნი მიმართავენ უბირო კრიტიკით. ყოველივე ეს კი საშინელ გავლენას ახდენს სოფლელებზე.

საჭიროა მეტი სიფრთხილე, სოფლელებთან ზედმიწევნით ამხანაგური მიდგომა, დახმარება შეცდომის გამოსასწორებლად; ყოველგვარ მუშაობაში საქმიანი მონაწილეობა და არა „გასტროლიორობა". აუცილებელია თავდაჭერილობა და კარგი ყოფაქცევაც.

ქალაქელი კომკავშირელი, რომელიც ნაკლს შენიშნავს კოოპერაციაში, საბჭოს და გლეხკომის მუშაობაში, ან რევოლიუციონურ კანონიერების დარღვევის მხრივ,—ამის შესახებ უნდა აცნობოს სათანადო ორგანოებს. კომკავშირელმა უნდა შეისწავლოს გლეხობის მდგომარეობა და ხელი შეუწყოს მის გაუმჯობესებას.

სოფლის კომკავშირის უჯრედის მუშაობის გასაცხოველებლად ქალაქელმა თავისი გამოცდილება უნდა გაუზიაროს სოფლის ორგანიზაციას. ამასთანავე სულიერი საზრდო, ლიტერატურა უნდა მიაწოდოს სოფელს.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ ქალაქელ კომკავშირელებს, რომლებიც მახინჯ გასართობებს მოაწყობენ სოფლად.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი გარემოებაც. ხშირად სოფლელებში უკმაყოფილებას იწვევს ის მოვლენა, რომ მათ უკრძალავენ იარაღის უადგილოთ ტარებას, ხოლო ქალაქელნი კი ამას თვით არ ასრულებენ. ეს სენიც უნდა მოისპოს.

ასე რომ, ქალაქელი კომკავშირელები ჯერ თვით უნდა აღიზარდონ სათანადოთ, რომ მათ პირი შესაფერად იბრუნონ სოფლისაკენ.

ჟ. ბროლი.

წერილები ადგილებიდან

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სოფ. ნაბადა

სოფ. ნაბადაში (ფოთის მაზრა) კომკავშირის უჯრედი არსებობს 1921 წლიდან. უჯრედში ამჟამად ირიცხება 30 წევრი და კანდიდატი. სხვათა შორის აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უჯრედი აქტიურ მუშაობას აწარმოებს უპარტიო ახალგაზრდობის შორის. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ უჯრედს დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოებული და ლტოლვაც კომკავშირის რიგებისაკენ დიდია. ამ ბოლო დროს უჯრედი უშვებს კედლის გაზეთსაც. უჯრედს გამოყოფილი ჰყავს საშეფო კომისია, რომელიც დიდ დახმარებას უწევს რაიონის ერთ-ერთ ჩამორჩენილ უჯრედს, სადაც მუშაობა დღემდე ვერ მიმდინარეობდა ნორმალურად.

ჩუმი.

ახალ-სოფელი

ახალ-სოფელში (ქუთაისის მაზრა) უკვე დიდი ხანია, რაც არსებობს უჯრედი. დღიდან ამ უჯრედის დაარსებისა მუშაობა სულ წინ მიიწევს. უჯრედის ინიციატივით დაარსდა ლენინის კუთხე და სამკითხველო, რომელთა გარშემო მასიურად დარაზმულია ადგილობრივი ახალგაზრდობა. უჯრედის კრებები ეწყობა კვირაში ერთხელ, სწარმოებს პოლიტწრის მეცადინეობაც. საერთოდ უჯრედის წევრები მუშაობის ყველა დარგებში იჩენენ აქტივობას. ამ ზაფხულში მაგალითად უჯრედმა მოაწყო წარმოდგენები და საღამოები, რითაც ადგილობრივი გლეხკაცობა მეტად კმაყოფილი დარჩა.

„აშკარა"

ჩვენი ლითონის მრეწველობა

საქართველოს ლითონის მრეწველობის განვითარებას მრავალი დაბრკოლება ელობება წინ. მათ შორის ყველაზე უფრო საგრძნობი დაბრკოლება არის კვალიფიკაციური მუშახელის უყოლობა და მასალების მარაგის ნაკლებობა.

ნედლი მასალა

ლითონის საწარმოო ქარხნებისათვის მასალის მიწოდების საკითხი მეტად მწვავედ დგას, რადგან საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბაზარზე არ მოიპოვება მასალების საკმაო რაოდენობა. მეორე მხრივ ლითონის ტრესტს არა აქვს თავისუფალი თანხები საჭირო მასალის საკმაო რაოდენობის შესაძენად. რაც შეეხება ცალკე წარმოებებს, ასეთი მდგომარეობა. სპილენძის ქარხანა ნედლი მასალით უზრუნველყოფილია მხოლოდ ორი—ორ თვენახევრით 3 ათასი ფუთი წითელი სპილენძით, აქედან 1.800 ფუთი ქარხნის საკუთარი მარაგია, 1.200 ფუთი კი სხვების მიერ დასამუშავებლად მოტანილ ნედლ მასალას წარმოადგენს.

ჩათახის ქარხანა იმდენად სუსტად იყო უზრუნველყოფილი ნახშირით, თუჯით და კირით, რომ აუცილებელი გახდა ქარხნის და მინის ცეხის მუშაობის შეჩერება. ნახშირის კრიზისი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ნახშირის გამომწველი გლეხები შეუდგენ საველე მუშაობას. მათი სხვებით შეცვლა კი შეუძლებელი შეიქმნა. სხვა ნედლი მასალის უქონლობის მთავარი მიზეზი არის უფულობა.

ცოტა უკეთეს მდგომარეობაშია რკინის კრაოტების წარმოება. რომელიც ნედლი მასალით უზრუნველყოფილია [illegible] განმავლობაში გარდა ამისა წარმოებას დაკვეთილი აქვს მასალები, რომლებიც საშუალებას მისცემს შეუფერხებელი მუშაობისათვის რამდენიმე ხნით მაინც.

თითქმის არავითარი ნედლი მასალა არ მოიპოვება სასოფლო-სამეურნეო ცეხს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხის მასალის და თუჯის მცირე მარაგს.

მუშა-ხელის ნაკლებობა

კვალიფიკაციური მუშა ხელის უზრუნველყოფას მხრივ საქარ. ლითონის მრეწველები კრიტიკულ მდგომარეობაში არის. შრომის ბაზარზე თითქმის სრულიად არ მოიპოვება კვალიფიკაციური მუშა ხელი. ლითონის მრეწველობა განიცდის მელითონეთა კვალიფიკაციური შრომის ყველა კატეგორიების მუშა ხელის ნაკლებობას.

პროდუქციის თვითღირებულება

ლითონის ტრესტის მთავარ წარმოებათა პროდუქციების თვითღირებულება იმდენად ზომიერია, რომ სრული გარანტია არსებობს მათი გასასაღებლად საბაზრო ფასების მიხედვით. პროდუქციების თვითღირებულების შემცირება არსებულზე უფრო მეტად შესაძლებელია ამ შემთხვევაში, თუ წარმოება გადავა გეგმიან მუშაობაზე და შემოღებული იქნება შრომის მექანიზაცია.

ლითონის ნაწარმოების შემოტანა

1925—26 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან შემოტანილი იქნება 3,240 ათასი ფუთი ლითონის ნაწარმოები.

ა | კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ლითონის ნაწარმოების შემოტანა დაავალოს განსაზღვრულ სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებს, სახელდობრ „იუგოსტალს" და ლითონის სინდიკატს, რომლებიც კისრულობენ პასუხისმგებლობას შემოსატან გეგმის სისწორით შესრულებისათვის.

ა | კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლის პირველ მეოთხედში შემოიტანონ შემოსატანათ განზრახულ საქონლის 40 პროც., რაც უდრის დაახლოებით 140 მ. ფუთს. საქონლის დანარჩენი რაოდენობა შემოტანილი იქნება 1925—26 წ. უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში.

აბრეშუმის თესლის დამზადება

ა | კავკასიაში აბრეშუმის თესლის ადგილობრივად დამზადების ხელის შეწყობის მიზნით ა | კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა მიიღოს შემდეგი ღონისძიებანი:

მომავალ წელში, ა | კავკასიაში არსებულ თესლის დამამზადებელ ორგანიზაციებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხის სახით 120 ათასი მანეთი, ადგილობრივ აბრეშუმის თესლის დასამზადებლად.

აღნიშნულ თანხიდან საქართველოს მიეცემა 60 ათასი მან., აზერბეიჯანს—30 ათასი და სომხეთს—30 ათასი მანეთი.

თესლეულობის დამზადებასთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად შექმნილი იქნება განსაკუთრებული ფონდი 935,230 მანეთის რაოდენობით, საიდანაც თესლის დამამზადებელ ორგანიზაციებს მიეცემათ მოკლევადიანი სესხები. მომავალ წელში ამ ფონდიდან გაიცემა 577,534 მანეთი.

მომავალ 5 წლის განმავლობაში საბრეშუმო სადგურების შესანახად დაიხარჯება 471,547 მან. ამ თანხიდან საოპერაციო წელში საქართველოს მიეცემა 52,800 მან., აზერბეიჯანს—21,335 მან. და სომხეთს—12,752 მან.

თესლის დამამზადებელი ორგანიზაციები საზღვარგარეთიდან გამოწერილ იარაღ-მანქანებზე არავითარ ბაჟს არ იხდიან.

ამას გარდა შემოღებული იქნება კონტროლი როგორც შემოსატან, ისე გასატან თესლზე.

სასოფლო მეურნეობა

ჩაის მცენარე აფხაზეთში

აფხაზეთში მიწად. მოქ. სახალხო კომისარიატმა იმ გარემოების გამოსარკვევად, თუ რამდენად სახეიროა აფხაზეთის ჰავა და ნიადაგი ჩაის მცენარის პლანტაციების გასავრცელებლად, მოიწვია ჩაის კულტურის დიდი მცოდნე პროფესორი პოლიბინი, რომელიც კვლევა-ძიებას აწარმოებდა რამოდენიმე კვირის განმავლობაში. პროფესორმა უკვე დაამთავრა ჩაის კულტურის მდგომარეობის გამოკვლევა აფხაზეთში.

კოდორის, გალის და გუმისტის რაიონებში, როგორც ადგილობრივი გლეხობა მოწმობს და პროფ. პოლიბინმაც დაადასტურა კარგად ხარობენ ცეილონის და ჩინური ჯიშის ჩაის მცენარეები. ზემოხსენებულ რაიონებში გლეხები ჯერ კიდევ ომამდე ფართედ მისდევდენ ჩაის მცენარის გაშენებას. როგორც გამოცდილებამ აჩვენა გლეხებს ამ ადგილებში ჩაის მცენარე კარგათაც იზრდება და იძლევა საშუალოზე მაღალ მოსავალს. ამ უკანასკნელ წლებში გლეხები ისევ შეუდგენ ჩაის მცენარის გაშენებას, მაგრამ პლანტაციების გაფართოებას აბრკოლებს საკმაო სახსარის უქონლობა. ჩაის პლანტაციების ფართე მასშტაბით გავრცელებისათვის პლანტატორები საჭიროებენ მთავრობის დახმარებას.

პროფესორ პოლიბინის აზრით აფხაზეთის ჰავის და ნიადაგის პირობები იძლევიან სრულს შესაძლებლობას ჩაის ბუჩქების კულტურისათვის. განსაკუთრებით საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ ჩაის მეურნეობისათვის რესპუბლიკის სამხრეთით მდებარე მაზრები.

მოსავალი

მოსავალი საცდელ-საჩვენებელ მინდვრებში

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის აგრონომიული დახმარების განყოფილებამ საქართველოს ზოგიერთ მაზრებში მოაწყო საცდელ-საჩვენებელი მინდვრები იმ მიზნით, რომ თვალსაჩინოდ დაემტკიცებია გლეხობისათვის, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს მიწის რაციონალურად დამუშავებას პრიმიტიულ დამუშავებასთან შედარებით. ზოგ მაზრაში უკვე დამთავრდა ჭირნახულის მოწევა. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში მოსულია ცნობები იმის შესახებ, თუ ჭირნახულის როგორი მოსავალი იყო ერთი მხრივ საცდელ საჩვენებელ მინდვრებზე და მეორე მხრივ გლეხის ყანებში.

ბორჩალოს მაზრა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში მოსული ცნობით ბორჩალოს მაზრის საცდელ საჩვენებელ მინდვრებში შემდეგი მოსავალი იყო: საცდელ-საჩვენებულ მინდვრის ყოველ დესეტინაზე საშუალოდ მოვიდა წელს 110 ფუთი ხორბალი, 140 ფუთი ქერი, 250 ფუთი სიმინდი, ამავე დროს ამავე მაზრის გლეხების მიერ პრიმიტიულ წესით დამუშავებულ დესეტინაზე პურის საშუალო მოსავალი უდრიდა 58 ფუთს, ქერისა 70, სიმინდის—175 ფუთს.

შორაპნის მაზრა

შორაპნის მაზრაში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს საცდელ-საჩვენებელი მინდვრები მოწყობილი აქვს საჩხერის ახლო. ამ მინდვრებში საშუალო მოსავალი ყოველ დესეტინაზე ასეთი იყო: პური—72 ფუთი, სიმინდი—200 ფუთი, პრიმიტიულად დამუშავებულ ყანებში თითოეულ დესეტინის საშუალო მოსავალი უდრიდა,—პური—47 ფუთს, სიმინდი 120 ფუთს. ასეთივე განსხვავება არის საცდელ-საჩვენებ ყანებსა და პრიმიტიულად დამუშავებულ ყანებს შორის სხვა მაზრებში.

თამბაქოს მოსავალი

უკანასკნელი ცნობებით თამბაქოს მოსავალი წელს აფხაზეთში 400 ათასს ფუთს აღწევს. გასულ წელთან შედარებით წლევანდელ მოსავალს 80—90 პროცენტათ მოუმატია. ამავე დროს მოსავალი არის საუკეთესო ღირსებისა. წელს აფხაზეთში დათესილი ყოფილა თამბაქოთი 8 ათასი დესეტინა.

ზეთისხილის და მანდარინის მოსავალი

წელს აფხაზეთში საბჭოთა მამულში „პსირცხა"-ში მოსალოდნელია 3.500 ფუთი ზეთისხილის მოსავალი, რაც მეურნეობას 50 ათასს მანეთის შემოსავალს მისცემს. გასული ზამთრის ყინვების გამო წელს მოსალოდნელია მანდარინის საშუალო მოსავალი—სულ 150 ათასი ცალი.

რა მოხდა აგვისტოს აჯანყების შემდეგ

(წერილი საფრანგეთიდან)

ჩვენ ვიცით, რომ აგვისტოს აჯანყება მალე, იოლად და სასტიკათ დამარცხდა. ჩვენ ვიცით, რომ ამ აჯანყების მომწყობი „ჟორდანიას მთავრობა" ამ აჯანყებას ნ. ჟორდანიას წიგნაკში („რა მოხდა") ამართლებდა და აჯანყებულთ უწუნებდა მხოლოდ სამხედრო-ტეხნიკურ მოუმზადებლობას.

„რა მოხდა" ამის შემდეგ?

„ჟორდანიას მთავრობას" იმედები ერთიან გაუცრუვდა. მას ეგონა, რომ აჯანყებით გამოწვეული რეპრესიები ხალხს კომუნისტებს ჩამოაცილიდა, დენა მარჯვნიდან მარცხნივ თუ არ იკლებდა, შეჩერდებოდა მაინც. მაგრამ თუ აჯანყებამდის კომუნისტებისაკენ უფრო მეტად მუშები გადადიოდენ, აჯანყების შემდეგ მუშების გარდა გლეხებმა და ინტელიგენციამ იწყო დენა. მშრომელი ერი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის „ჟორდანიას მთავრობა"-მ მოატყუილა; რომ ის მან თავისი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანის ობიექტათ გადააქცია; რომ მას უმიზეზოთ სისხლი დააღვრევინეს. ამასთან ერთად შეინძრა ქართული ემიგრაციის ჭაობიც. აქ, ევროპაში, ემიგრაციაც მიხვდა, რომ „ჟორდანიას მთავრობა" მასაც ატყუილებდა; რომ მის მიმართ მოწოდებული ინფორმაცია თავიდან ბოლომდე სიცრუეზე იყო აგებული როგორც საქართველოში ძალთა განწყობილების შესახებ, ისე ევროპის ბურჟუაზიის და მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულების შესახებ. ემიგრაცია მიხვდა, რომ საქართველოში მოხდარი ამბები სავსებით გამოწვეული იყო პარიზის კარნახით. თუ ეს კარნახი აქამდი მხოლოდ რამიშვილის ზოგიერთმა აგენტებმა იცოდენ საიდუმლოთ, ახლა ეს უკვე ყველასათვის აშკარა შეიქნა.

შექნდა „ჟორდანიას მთავრობა"-ს ტახტი. საქართველოში ხალხი მას სცილდება. ევროპაში ემიგრაცია იწუნებს მის ტაქტიკას. ჰაერში „დალალტი"-ს სუნი ტრიალებს. „მთავრობა" გამოსავალს დაეძებს, მხოლოთ განწირულისათვის გამოსავალის მონახვა შეუძლებელია. უფალი რომ კაცს გასწირავს, პირველ ყოვლისა ის მას გონებას წაართმევს. დაი გონებადაკარგული „მთავრობა"-ც აცხადებს: ვინ მოაჭორა, რომ აჯანყება ჩვენ მოვაწყვეთ.—საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტია ანდრონიკაშვილებს ჩაუვარდათ ხელში და ეს ავანტიურა ანდრონიკაშვილებმა მოაწყვეს. ანდრონიკაშვილები ეროვნულ-დემოკრატების გავლენის ქვეშ მოხვდენ. ეროვნულ-დემოკრატებმა და ანდრონიკაშვილებმა გასწირეს ქართველი ერი, მათ დაღვარეს მისი სისხლიო.

საწყალო კოტე! „განა შენ ამას მოელოდი შენი პარიზელი ამხანაგებისაგან? განა შენ წარმოიდგენდი, რომ პარიზი შენ ასე პროვოკაციულად გაგწირავდა?

მოქალაქე კედია! თქვენ გეგონათ, რომ პოლიტიკურ ჯენტლმენებთან გქონდათ საქმე? არა!

ჩვენ ვიცით, რომ რამიშვილები ბოლშევიკების ზოგიერთ მეთოდებს მაკიაველიზმის სახელით ნათლავდენ. მაკიაველიზმი დიდი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ფილოსოფიაა. როდესაც მაკიაველი ურჩევს „თავადებს" არა საკადრისი მეთოდების ხმარებას, ის მათ მასაც ურჩევს, რომ მამალს კუდი არ უნდა გამოუჩნდეს.

პარიზელ მაკიაველისტებს კი კუდი უჩანთ. ამის შესახებ მე აქ ბევრს არ ვილაპარაკებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს დოკუმენტალურად დამტკიცებულია, რომ აჯანყება მოაწყო „ჟორდანიას მთავრობამ". აქ ჩვენ წაუშლელი წერტილი უნდა დავსვათ.

ჩვენ ვიცით, რომ „ჟორდანიას მთავრობას" მეორე ინტერნაციონალთან აქვს საქმე და კავშირი; ის მას ანგარიშს უწევს, მის დირექტივებს ემორჩილება. მეორე ინტერნაციონალი კი საზოგადოთ ყოველგვარი აჯანყების წინააღმდეგია; ის ევოლიუციის მომხრეა; მთელი მისი იმედები მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ გზაზედაა დამყარებული; სანამ ერის დიდი უმრავლესობა მას ხმას არ მისცემს არჩევნების წესით, სანამ ობექტიური და სუბიექტიური პირობები არ შეიქმნება, მანამ არავითარ გადატრიალებაზე ლაპარაკი არ შეიძლება მართალია მას მარქსის სურათი სასთუმალთან უსვენია, მაგრამ სინამდვილეში მარქსის მეთოდებს არ იზიარებს. მას „ყალიმაყალის" და „ალიაქოთის" თავი არა აქვს და აი „ჟორდანიას მთავრობა", იცის რა მან ყოველივე ეს, მეორე ინტერნაციონალს ეუბნება: აჯანყება საქართველოში არც ჩვენ, პარიზელებს, მოგვიწყია და არც საქართველოს ს.-დ. პარტიის ცეკასო; ის სტიქია იყოო.

როგორც ზევით ვსთქვი, აჯანყების შემდეგ ემიგრაციის ჭაობი შეიძრა, შეიძრა არა მარტო დაბალი ფენები, არამედ ჭაობის თვით მაღალი სფეროები. ირ. წერეთლის მეთაურობით „მთავრობას" ოპოზიცია გაუჩნდა; ამ ოპოზიციასა სულდგმულებენ და აჯიკავებენ მუშები. წერეთელს გვერდში ამოუდგნენ: ჩხეიძე, ერაძე, არსენიძე, ელიავა და ზოგიერთ წუთებში... ა. ჩხენკელი. ზოგი ამათგანი მეტ აქტივობას იჩენს, ზოგი პასიურ როლს თამაშობს.

დაიწყო ხელის ბანა. დაღვრილი სისხლის პასუხისმგებლობა უნდათ თავიდან აიცილონ.

ექვსი თვის განმავლობაში „ოპოზიცია" კრებას კრებაზე იწვევს. არა ს.-დ.-თვის კრების კარები დახურულია. „ოპოზიცია"-ს კავშირი აქვს დაკავშირებული ქ. პრაღაში მცხოვრებ მენშევიკებთან. პრაღელების ცხრა მეათედი რამიშვილისტებია, იმიტომ, რომ ყოფილი ჩინოვნიკებია, ოსობიოტრიადჩიკებია. მცირე ოპოზიცია პრაღიდანაც მიაწვა პარიზს და აქაურ „ოპოზიციას" ზურგს უმაგრებდა.

ნ. ჟორდანია „ოპოზიცია"-ს ჯერჯერობით ანგარიშს არ უწევს, პარტიის კრებებს სულაც არ ესწრება. „ოპოზიცია" დღიდან დღე ძლიერდება, მისი რიცხვი თანდათან მატულობს. როდესაც ჟორდანია ჰხედავს, რომ მას „ოპოზიციასთან" უყურადღებობა არ გამოადგება, ის მიდის კრებაზე. „პოზიცია" და „ოპოზიცია" მათი ლიდერებით ერთი მეორეს უპირდაპირდებიან, ხვდებიან. წერეთელი თხოულობს აჯანყების საკითხის განხილვას, ახალი ტაქტიკის შემუშავებას. ნ. ჟორდანია ამის წინააღმდეგია ვითომ იმ მოსაზრებით, რომ პარტიას ჯერ სრული ინფორმაცია არა აქვსო. ამ კითხვის ირგვლივ იმართება პირველი ბრძოლა, რომელმაც, ასე ვსთქვათ, ძალთა განწყობილება უნდა გამოააშკარავოს. კენჭის ყრით ჟორდანია მარცხდება და მაშინვე სტოვებს კრებას. შემდეგ ნ. ჟორდანია რწმუნდება, რომ ბოიკოტით ის საქმეს წააგებს, რომ წერეთელს შეუძლია ის დაამარცხოს თუ პარტიაში არა, მეორე ინტერნაციონალში მაინც. მან იცის, რომ მეორე ინტერნაციონალს წერეთლის სჯერა და თუ წერეთელმა მოინდომა; იქ ის ყოველისფერს გამოააშკარავებს და ზღაპრებს სტიქიის შესახებ ბოლო მოეღება. წერეთელიც სწორეთ ამით იმუქრება. მეორე კრებაზე მოდის ჟორდანია. აქ იმართება გენერალური ბრძოლა. „პოზიციას" რეზოლიუცია აქვს, სადაც გატარებულია ის აზრი, რომ ქართველმა ერმა იარაღი არ უნდა დაჰყაროს და მომავალი აჯანყებისათვის ახლავე უნდა ემზადოს.

რაღა თქმა უნდა არც წერეთელია ურეზოლიუციოთ მოსული. რაა ამ რეზოლიუციაში ნათქვამი? 1) აჯანყება დასაწყისშივე განწირული იყო, მეორე ინტერნაციონალი აფრთხილებდა პარტიას არ გადაედგა მას ასეთი საბედისწერო ნაბიჯი, რომ ეს ნაბიჯი პატარა საქართველოს გაანადგურებს და შველა კი არავის შეუძლია; 2) ევროპის ბურჟუაზია არ გადიკიდებს დიდ რუსეთს პატარა საქართველოს გულისათვის და თუ მას თავისი ინტერესები აქვს საქართველოში, ის მას დაიკმაყოფილებს რუსეთთან მოლაპარაკებით; 3) ძველი აჯანყების ტაქტიკა დაგმობილი უნდა იყვეს და მომავალში ასეთი ნაბიჯები აღარ უნდა გადადგან; 4) პარტიამ უნდა შეჰკრას ბლოკი რუსეთის ს.-დ.-ულ პარტიასთან და საერთოდ რუსეთის დემოკრატიასთან და იბრძოლოს მათთან ერთად იდეურათ. აი წერეთლის რეზოლიუციის დედა აზრი. წერეთელი ამბობს: ყოველივე ამას მე თავის დროზე ველაპარაკებოდი ბიუროს, მაგრამ არც დამიჯერეს და არც საჯაროთ მათქმევინეს რამეო. „ოპოზიცია" მარტო წერეთლის გამოსვლით არ კმაყოფილდება. გამოდის ჩხეიძე. მის სიტყვას აღარ ახლავს მისებური დაცინვითი კილო. ის ვითომ გამწარებულია და გამწარებამ მას „შორაპნული" დაავიწყა. ის ამბობს: ჩვენ, ამხანაგებო, ბოლშევიკების დანგრევას ორ-ორი თვით და ორ-ორი წლით ვზომავდით; სინამდვილეში კი ჩვენ სულ სხვა დაგვანახვა; რას ვიტყვით, რომ ის წყეული ბოლშევიკები 25 წელიწადსაც კი არ დაეცენ. ჩვენ გავსწყვიტეთ ჩვენი ერი; მტერი მტერს ვერ უზამს იმას, რაც ჩვენ მას უყავით. ხალხს მშვიდობიანი ცხოვრება ჰსურს, ჩვენ-კი მას აჯანყებისაკენ ვიხმობთ, დროა ასეთ ნაბიჯებს ბოლო მოეღოსო.

დგება დინჯათ აკაკი ჩხენკელი. ის ამბობს: მე ვიცნობ ქართველ ერს, მე მის სულში და გულში ჩამიხედავს და მე ვამბობ, რომ ის თოფს ხელს არ მოჰკიდებდა, აქედან რომ მას კომანდირი არა ჰყოლებოდა. მე უნივერსიტეტიდან ვიცნობ ანდრონიკაშვილს, მე შემიძლია კატეგორიულათ განვაცხადო, რომ ის უჩვენოთ ასეთ საბედისწერო ნაბიჯს არ გადადგამდა, ანდრონიკაშვილს კაცი გამოეგზავნა პარიზში, და მე ის კაცი ბიურომ არ მაჩვენა; ბენიას და ვალიკოს გაგზავნას საქართველოში მე მომალავდენ და შემთხვევით სამი თვის შემდეგ გავიგეო.

ნ. ჟორდანია პირველათ ჯიუტობს და ბიუროს რეზოლიუციის მიღებას თხოულობს. ის ამბობს: ეს რეზოლიუცია ჩვენი, ბიუროს რეზოლიუციაა, წერეთლის რეზოლიუცია-კი რუსული ხელით არის დაწერილიო. მაგრამ ის ხედავს, რომ უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს წერეთლის რეზოლიუციის მიღება, და ისიც ღონეს ხერხს ამჯობინებს. რამიშვილი ურა-ს მომხრეა, ღონის იმედი აქვს, ჟორდანია-კი ჭკვიანია და ამჯობინებს. ჟორდანია იხმობს ცალკე წერეთელს და მართავს მასთან მოლაპარაკებას. პირველი ღებულობს მეორეს რეზოლიუციას, მხოლოთ ერთის დამატებით; ეს დამატება აგერ რეზოლიუციის ბოლო კუნჭულშია მიწებებული; ის ისე კოხტათ და რბილათ გამოიყურება, რომ მას ყურადღებასაც კი არ მიაქცევენ; ის მყვირალი არ არის; ის ამბობს: რაღა თქმა უნდა, ქართველი ერი შესაფერ მომენტში იარაღსაც მიმართავსო.

ამნაირათ კრებას ერთი რეზოლიუცია წარუდგინეს. „ოპოზიცია" დაკმაყოფილდა. ჟორდანიამ წერეთელს აკოცა. წერეთელმა ნოეს ხელი ჩამოართვა. ეს იყო სიმბოლო შერიგებისა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ გამოიყენებენ რამიშვილები ამ კოხტა დამატებას.

„შესაფერ მომენტში".

შესაფერ მომენტს ვერც გაზომავ, ვერც ასწონი. ეს რაღაც სუბიექტიურია. მოგიწყობენ, მოქალაქე კაკი, აჯანყებას და გეტყვიან: შესაფერი მომენტი დადგა და ჩვენც მოუწოდეთ „ერს" აჯანყებისაკენ. მერე კიდევ „ოპოზიცია", კიდევ კრებები და რეზოლიუციები. თქვენ აქ უნდა იმასლაათოთ, იორატოროთ შერიგმორიგდეთ, კოცნოთ ერთმანეთი და იქ კი ერი სისხლით უნდა დაიწრიტოს.

მერწმუნეთ, რამიშვილები ცეცხლთან თამაშს არ მოიშლიან მით უმეტეს, რომ ცეცხლის ალი პარიზამდის არ მიაღწევს, სადაც ჩინებულათ გრძნობენ თავს რამიშვილები. არა, თუ „ოპოზიცია" არ თამაშობდა, თუ ის მართლაც ხელს არ იბანდა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაშორებლად არ ოპოზიციონერობდა—ის ვალდებულია რეზოლიუციის უკანასკნელი დამატება ამოშალოს როგორც ფორმალურათ, ისე ფაქტიურათ. მე მრწამს, რომ ზოგი მათგანი ადრე თუ გვიან შეურიგდება საქართველოში არსებულ პირობებს, აღიარებს თავის შეცდომას თუ დანაშაულს, დაუბრუნდება საქართველოს და ახალი გზით და ახალი მეთოდებით ჩაებმება საერთო მუშაობაში მშრომელი ერის საკეთილდღეოთ. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა დაგმობილ იქნეს ძველი ავანტიურა და მოსალოდნელი სისხლიანი დღეების საჯაროთ უარყოფა.

ივ. კაჩუხაშვილი.

პარიზი.
20 სექტემბერი

ნათესების მდგომარეობა

ამიერ-კავკასიაში

(1 ოქტომბრისთვის)

ტემპერატურის ცვალებადობას სექტემბრის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია საგვიანო კულტურათა მდგომარეობაზე. ატმოსფერის ნალექი ამ პერიოდში ნორმალურზე დაბალი იყო, რამაც ოდნავ უარყოფითად იმოქმედა ბამბის ნათესებზე აზერბეიჯანში, არსებითად კი მდგომარეობა არ შეცვლილა.

ბამბა

ბამბის მდგომარეობა ა/კ. ყველა რესპუბლიკებში დარჩა ისეთივე, როგორც იყო სექტემბრის პირველ ნახევარში. აზერბეიჯანში ბამბის ნათესების მდგომარეობას გამოხატავს ნიშანი—3,7; სომხეთში—3,2; საქართველოში—3,4. საერთოდ ამიერ-კავკასიაში ბამბის მდგომარეობა კარგს (3,6) უახლოვდება.

სიმინდი

გაუმჯობესდა სიმინდის ნათესების მდგომარეობა. სექტემბრის პირველ ნახევარში იყო 3,2; პირველ ოქტომბრისთვის 3,4. მაზრების მიხედვით სიმინდის ყანების მდგომარეობა გაუკეთესდა ქუთაისის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, სენაკის მაზრებში და აფხაზეთში.

თამბაქო

თამბაქოს მდგომარეობა უცვლელი დარჩა (3,3) ოდნავ გაუმჯობესდა სიღნაღის მაზრაში (2,8 ნიშნის ნაცვლად არის ნიშანი 3,0).

ვენახები

სექტემბრის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის ვენახების მდგომარეობა საშუალოს (2,8) უახლოვდებოდა.

სექტ. მეორე ნახევარში ოდნავ გაუმჯობესდა საქართველოს ვენახების მდგომარეობა (32 ნიშნის ნაცვლად არის ნიშანი, 3,1). მაზრების მიხედვით ვენახებმა მოიკეთეს სიღნაღის მაზრაში (იყო 3,5, არის 4,0). ქუთაისის მაზრაში (იყო 2, 5, არის 3,0). გაუარესდა ბაქოს მაზრაში (2,7 ნიშნის ნაცვლად არის 2,5) საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიაში ვენახების მდგომარეობა საშუალოა (2,8).

ბაღები

ბაღების მდგომარეობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში არ შეცვლილა. აზერბეიჯანში ბაღების მდგომარეობას გამოხატავს ნიშანი 3,0; საქართველოში—ნიშ.—2,7, ხოლო სომხეთში—2,8.

ამგვარად სასოფლო-სამეურნეო წლის დასასრულს არსებითი ცვლილება არ შეაქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურის წინანდელ შეფასებაში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

შეღავათები ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მანქანების და მასალების გამოფენის მონაწილეთათვის შეღავათების მიცემის შესახებ და საჭიროდ სცნო მიეცეს გამოფენაზე მონაწილეობის მიმღებ ფირმებს შემდეგი შეღავათები:

სავაჭრო ოპერაციები გამოფენაზე განთავისუფლებულ იქნენ სახელმწიფო საერთო და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

შემცირებულ იქნეს სარკინიგზო ტარიფი და ეთხოვოს საუწყებათაშორისო თათბირს შეიმუშაოს ტარიფის სპეციალური განაკვეთები გამოფენაზე ექსპონატების გადატანისათვის, რათა არსებულ განაკვეთებზე დაკლებული იქნეს 25 პროცენტი.

ნებადართულ იქნეს მხლებლების ყოფნა რონოდაში, რომლითაც იგზავნება ტვირთები გამოფენაზე, რისთვისაც წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბლოკის ამ საკითხის შესახებ სათანადო შუამდგომლობა ა/კ. რკინის გზათა სამმართველოს წინაშე.

უცხოეთის ფირმებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაზე, უფლება ექნეთ თავისუფლად გაიტანონ გამოფენაზე ექსპონატების გაყიდვიდან მიღებული უცხოეთის ვალუტა.

რაც შეეხება ბაჟებს დაშვებულ იქნეს ექსპონატების უბაჟოდ შემოტანა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ექსპონატები არ იქნება გატანილი უკანვე ორი თვის განმავლობაში გამოფენის ოფიციალურად დახურვის შემდეგ, ექსპონატების პატრონებს გადახდებათ ბაჟი.

პროფკავშირებში

პროფკლუბების მუშაკთა კონფერენცია

პირველი დღე

7 ოქტომბერს შესდგა თბილისის პროფესიონალურ კლუბების მუშაკთა კონფერენცია.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. ჭელიძემ შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ კონფერენცია პირველი ცდა არის იმისი, რომ ჯამი გაუკეთდეს კლუბების გასულ ზაფხულის ნამუშევარს.

მუშათა ცენტრ. კლუბის შესახებ

მოხსენება გააკეთა ამხ. ელიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ცენტრ. კლუბის პოპულიარობა მუშათა ფართო წრეებში, კლუბის წევრთა რიცხვმა ა/წ. პირველ სექტემბრისათვის 3.014 კაცს მიაღწია, რაც დიდ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს, კლუბებში მოსიარულეთა რიცხვი ერთი თვის განმავლობაში—აგვისტოში 23 ათასამდე ავიდაო.

ამავე კლუბის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. ქშონზერმა, რომელმაც ხაზი გაუსვა კლუბის ნაკლულოვანებას და მათ შორის კლუბის გამგეობის ნაკლებ უნარიანობას, რომელიც გამოიხატება მუშაობის ერთ ფეროვნებაში. მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე მბეჭდავთა და ტრამვაელთა კლუბების წარმომადგენლებმა.

მეორე დღე

პროფკლუბების მორიგი ამოცანები

(მომხსენებელი ამხ. ახრიბეკოვი).

მომხსენებლის აზრით პროფ. კლუბი უნდა გახდეს კომუნისტური აღზრდის კერად. მუშა-მოსამსახურესათვის იგი უნდა შეიქნეს კლასიურ აღმზრდელობითი ორგანიზაციად. განვლილ პერიოდში კლუბების მუშაობა, მომხსენებლის აზრით, ასცდა ამ გზას და მიიღო სულ სხვა მიმართულება.

ამჟამად კლუბების მორიგ ამოცანას უნდა შეადგენდეს მუშაობის ამაღლება, მისი გაშინაარსიანება. ამისათვის საჭიროა კლუბებთან მოეწყოს პარტიული კოლექტივები, სხვადასხვა სექციები და სხვა. ამავე დროს კლუბის გამგეობამ უნდა იზრუნოს, რომ საკლუბო მუშაობა გასაგები გახდეს წევრებისათვის, სიმისოდ კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა წევრების დიდი უმრავლესობისათვის გასაგები ენის შემოღება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საკლუბო მუშაკების სასწრაფოდ მომზადებას, რადგან კლუბებს რიგიანი მუშაკები არა ჰყავთო.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კლუბის მუშაობა

მიმოხილვა გააკეთა ამხ. ტუტუნჯიანმა. ზაფხულის დამდეგს კლუბს არ ჰყოლია ერთი ათასი წევრიც კი, პირველ ოქტომბრისათვის კლუბის წევრთა რიცხვს 5.145-მდე მიუღწევია.

ამხ. ქშონზერს ამ კლუბის ნაკლად მიაჩნია გამგეობის უუნარობა.

რკინისგზელთა კლუბი

რკინისგზელთა კლუბის მუშაობის ანგარიშს კითხულობს ამხ. მუმლაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ გასულ ზაფხულზე გამგეობის მთელი ენერგია შეეწირა ბაღის მოწყობას, რადგან უამისოდ მოუხერხებელი იყო საკლუბო მუშაობის წარმოება ზაფხულის განმავლობაშიო. შენობების უქონლობის გამო წრეების მუშაობა არ წარმოებდა. კლუბის წევრთა რიცხვი 1000 კაცს უდრის. მომხსენებლის აზრით საკლუბო მუშაობა წინ ვერ წაიწევს, თუ კლუბს არ მიეცა შენობა და მუშტაიდის მთელი ბაღი საექსპლოატაციოდ.

საკლუბო მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ჭელიძე)

ეხება რა კლუბების მუშაობას მიმდინარე წლის ზაფხულში, ამხ. ჭელიძე აღნიშნავს კლუბების გამგეობათა სუსტ შრომის უუნარიანობას. გამგეობებს არ ჰქონიათ რეგულიარული სხდომები, რის გამოც კლუბები ვერ აწარმოებდენ გეგმიან მუშაობასაო. გამგეობები თავის მუშაობას არ უფარდებდენ კლუბში მავალი მასსების მოთხოვნილებებიო. მომავლისათვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შეიქმნეს კლუბების აქტიური მუშაკთა კადრი, რომლის ნაკლებობა სავრძნობლად ეტყობა კლუბების მუშაობასო.

შემდეგ ამხ. ჭელიძე კონფერენციას აცნობს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ გამომუშავებულ კლუბების საზამთრო მუშაობის გეგმებს.

შრომის ხელფასის მოწესრიგება

სპეც განაკვეთები

მიმდინარე სამეურნეო წლიდან ახალი დებულების თანახმად შემოღებული იქნება სპეცგანაკვეთების გამოანგარიშების ახალი სისტემა.

მიმდინარე სამეურნეო წლამდე სპეცგანაკვეთების საკითხი ასე იყო გადაჭრილი: წარმოებებს და დაწესებულებებს ეძლეოდათ სპეცფონდი, რომლიდგანაც სპეციალისტები ღებულობდენ ჯამაგირებს.

ცოტად თუ ბევრად დიდ განაკვეთის დანიშვნის შესახებ დაწესებულებები შუამდგომლობას სძრავდენ შრ. სახ. კომისარიატთან არსებულ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს კომისიის წინაშე, რომელიც საკითხს სწყვეტდა დადებითად ან უარყოფითად. ახალ დებულებით ეს წესი შეცვლილია. განაკვეთის დანიშვნა და მისი რაოდენობის განსაზღვრა შედის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის კომპეტენციაში, დაწესებულებისთვის მიცემულ სპეცფონდის ფარგლებში ხელმძღვანელებს შეუძლიათ გაანაწილონ სპეცგანაკვეთები და განსაზღვრონ მისი რაოდენობა სპეციალისტის კვალიფიკაციის მიხედვით. რაც შეეხება სპეცფონდს, მის რაოდენობას საზღვრავს შრ. სახ. კომისარიატთან არსებული კომისია და ამტკიცებს უმ. ეკონ. საბჭო. ამ სპეცფონდის გარეშე სპეციალისტის გასასტუმრებლად არავითარ შემთხვევაში ფული არ უნდა გაიცეს. ის ხელმძღვანელები, რომელნიც სპეცფონდის ფარგლებს გადაშორდებიან, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

სპეცგანაკვეთის დანიშვნის შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელსა და სპეციალისტს შორის იდება ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომელიც შემდეგ უნდა გატარდეს შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების რეგისტრაციაში. რეგისტრაციის დროს შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებს არა აქვთ უფლება შესცვალონ განაკვეთები, ისინი მხოლოდ შეამოწმებენ სპეცგანაკვეთს იმ მიზნით, რომ განაკვეთების საერთო ჯამმა არ გადააჭარბოს გაცემულ სპეცფონდს.

შრ. სახ. კომისარიატებს რჩებათ უფლება აღძრან შუამდგომლობა სპეცფონდის შემცირების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მიზანშეუწონლად იყენებს სპეცფონდს.

ამერიკელი ბამბის მეურნეები

ამიერ-კავკასიაში

ამერიკელ ბამბის მეურნეების ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს გადმოსახლდენ ა-კავკასიაში.

ა-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე დაამტკიცა გადმოსახლების მსურველთა სია, რომელთა რიცხვი აღწევს 200-მდე. იმავე კომისართა საბჭოს დადგენილებით, თვითეულ გადმოსახლებულს უნდა ჰქონდეს მოწმობა სავაჭრო წარმომადგენლობისაგან, რომ იგი მართლაც კულტურული მეურნეა და აქვს შესაფერი ცოდნა-გამოცდილება.

ამას გარდა თითოეულ ოჯახს უნდა ჰქონდეს თავის მეურნეობის მოსაწყობათ 500 დოლარი (1000 მ.).

ამერიკელი მეურნენი დასახლებული იქნებიან მუღანში (აზერბეიჯანი) სადაც მათ მიეცემათ საჭირო მიწის ნაკვეთები. ამ მიზნით უკვე დაარსებულია მუღანის საახალშენო კომიტეტი. გადმოსახლებას ხელმძღვანელებს აღნიშნული კომიტეტი აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

ქრონიკა

ამხ. მჭედლიშვილის დანიშვნა.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის 6 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამხ. თ. ღლონტი, განთავისუფლებულია თანამდებობიდან. ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულად საქართველოში დაინიშნა ამხ. გერ[illegible] მჭედლიშვილი.

ა.-კ. სახ. კომისარიატში.

— ძვირფასი ლითონების შესახებ. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დებულების პროექტი ძვირფასი ლითონების ნიმუშების (პრობის) თვალყურის სადევნელად.

— წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ ა.-კ. საზ—ბის დებულება დაამტკიცა ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ.

— ქალაქებში. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დებულების პროექტი ქალაქში მდებარე და ტრანსპორტისათვის მიცემულ მიწებიდან გადასახადის დაწესება-აკრეფის შესახებ.

— ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ა.-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის ჩამორჩენილობა და საჭიროება აღნიშნულ მეურნეობისათვის დახმარების გაწევა, აუცილებლად სცნო გადიდებულ იქნას ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოეფიციენტი.

მიწად.-მოქ. სახ. კომისარიატში

— ხის თესლეულობის დამზადება. მიწად-მოქ. კომისარიატმა სამაზრო აღმასკომებს დაუგზავნა თანხები სხვადასხვა ჯიშის ხის თესლების დასამზადებლად.

— ტყის სანერგები. მიწად-მოქ. კომისარიატმა შეადგინა გეგმა საცდელ-საჩვენებელ სატყეო სანერგეების მოსაწყობად.

— თხიაურის [illegible] სადგურმა მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით სექტემბერში დაამზადა 48 ლიტრი ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

ჯანსახკომში.

— საექიმო იარაღები. ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა საბებიო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტს გადასცა საზღვარგარეთიდან მისთვის ახლად მიღებული საექიმო იარაღები.

— სურამის სულით-ავადმყოფთა ახალშენში ჯანსახკომმა მოაწყო 30 ახალი საწოლი.

ცეკავშირი

— შაქრის შეძენა. ცეკავშირი პირობით შეეკრა შაქრის ტრესტს საქართველოსათვის 25—26 წელში 600.000 მან. შაქრის შემოზიდვის შესახებ.

— არაყის დამზ[illegible]. სახ. ღვინის ტრესტმა დასდო ცეკავშირთან ხელშეკრულება 2 მილ. გრად. არაყის დამზადების შესახებ.

პოლიტ-კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებაში.

4 ოქტომბერს 1925 წ. მოხდა საერთო კრება საზოგადოების წევრთა, რომელზედაც არჩეულ იქნენ საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოში არჩეულ იქნენ: 1. დუმბაძე ლადო, 2. არჩვაძე ევგენი, 3. მუნტიკოვი ქრისტეფორე, 4. ორმოცაძე მიხეილ, 5. სვეტლოვი ვერა, 6. იაკოვენკო გიორგი, 7. ტუროვცევი ალექსანდრე, 8. ათაბეგოვი [illegible]. კანდიდატები: 1. ტატიშვილი ვანო, 2. კოროღნოვი ნერსესი. სარევიზიო კომისიაში: 1. [illegible], 2. ზამი[illegible] 3. ივოშენკო იაკობი. კანდიდატები: 1. მიქელაიშვილი [illegible], 2. იაშვილი იულიან. საზოგადოების მამასახლისად არჩეულ იქნა ამხ. ლადო დუმბაძე, მდივნად—ტუროვცევი ალექსანდრე და საპატიო წევრად საზ—სა ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

ვაგონების რიცხვის გასადიდებლად

ვინაიდან მიმოსვლამ ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე უკვე მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას, ვაგონების რიცხვი კი საკმაო არ არის, ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველომ წარუდგინა ცენტრს მოხსენება რომელშიც აღნიშნულია ვაგონების რაოდენობის გადიდების აუცილებლობა 126 ვაგონით ფართო ხაზზე, 16 ვაგონით კი—ვიწრო ხაზზე.

სხვადასხვა

— მეორე ქართულ დივიზიამ გადასწყვიტა მიიღოს შეფობა თბ. მაზრის რომელიმე სოფელზე.

— პაპიროსების გასაყიდი პუნქტების რიცხვი მთელ ქალაქში აღწევს 327, აქედან დაახლოებით 200 პუნქტზე პაპიროსებს მუდამ ინვალიდები.

— საქონლის სნეულებებთან საბრძოლველათ მიმდინარე წელს მთელ საქართველოში მუშაობდა 59 ვეტერინარი ექიმი, 62 ფერშალი და 25 ტეხნიკური მომუშავე.

— მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოში სულ დაიკლა 200.000-ზე მეტი სული მსხვილ და წვრილფეხა საქონელი.

— ადგილებზე აღმასკომ-გლეხკომებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების განსამტკიცებლათ და მოსაგვარებლათ, სოც. უზრუნველყოფის და შინაგან საქ. სახ. კომისარიატებმა შეიმუშავეს მიმართვა, რომელიც სახელმძღვანელოთ დაეგზავნებათ ადგილებს.

— საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირი და გამოფენა შესდგება პარასკევს, 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, კლუბის ბინაზე.

— ამავე პროფკავშირების კოოპერატიულ ადგილკომების თათბირი შესდგება შაბათს, 10 ოქტ. საღამოს 7 საათზე, კავშირის ბინაზე.

შემთხვევები

— კაცის დაკარგვა. 6 ოქტომბერს, მოქ. დუნია დოლიძემ მილიციაში განაცხადა, რომ უკვალოთ დაიკარგა მისი ქმარი ნიკოლოზ რაფიელის ძე დოლიძე.

— თვითმკვლელობა. 6 ოქტ. გამოურკვეველ მიზეზების გამო თავი მოიკლა მე-2 საარტ. ლეგიონის წითელ-არმიელმა სიმონ პროკურემა.

— ქურდობა. 5 ოქტ. ვერის დაღმართზე № 7, გაქურდეს ქსენტი კანწურაშვილის ბინა, წაიღეს 120 მანეთის ნივთები.

— ჯიბგირების შეპყრობა. 5 ოქტ. შეიპყრეს ჯიბგირები მანუკოვი და მარომანოვი, რომლებმაც მოინდომეს ისაკ ქურჩიშვილისათვის ფულის ამორთმევა.

— ქურდობა 5 ოქტ. ელისაბედის ქ. № 18, მოქ. მარგარიტა ქადაგიშვილის ბინიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

ხელოვნება

გეორგ ბაშინჯაღიანი

1857—1925

კვირას, 4 ოქტომბერს, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი და დამსახურებული მხატვარი და მწერალ-მგოსანი გევორგ ბაშინჯაღიანი.

განთქმულ მხატვარ ი. აივაზოვსკის შემდეგ მხატვართა შორის ერთი უპირველესი ადგილი ეკავა გევორგ ბაშინჯაღიანს. ვის არ უნახავს მისი მრავალფეროვანი, პოეტურად და ხელოვნურად გამოყვანილი, მომხიბლავი სურათები, რომლებიც გამოფენილი ყოფილა ხოლმე კავკასიაში და შორეულ ქვეყნებში: მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, ბაქოში და სხვაგან. ბაშინჯაღიანის ნახატ სურათებ შორის უმთავრესად თვალსაჩინო და აღსანიშნავია შემდეგი: „მასისი", „სევანის ტბა", „ანის ნანგრევები", „ახურიანის ხევი", „ბორჯომის ტყე", „წარღვნის შემდეგ", „თოვლიანი მთები", „დებეტის მტკვარი ღამით" და სხვა მრავალი.

მაგრამ მარტო ხელოვნების ამ ერთი დარგით—მხატვრობით არა მთავრდება გ. ბაშინჯაღიანის შემოქმედება. იგი გარდა კარგ მხატვრისა, იყო კარგი მწერალიც, უსათუოდ რეალისტი. მისი ნაწერები დაბეჭდილია სომხურ გაზეთებში, ჟურნალებში და სხვადასხვა წიგნებში. უთანამშრომლია: გრ. არწრუნის „მშაკ"-ში, ტ. ნაზარიანის „ალბიურ ტარაზ"-ში, ა. ვრუირის „პუშარარ"-ში, ს. ლისიციანის „ხაპკერ"-ში, ა. ერეციანის „ხათაბალა"-ში, გაზეთ „მარტაკოჩ"-ში და და სხვ.

ცალკე წიგნებათ გამოცემული აქვს: „სტუდენტები" დრამ. 3 მოქ., „მხატვრის ცხოვრებიდან", „ესკიზები" და სხვა.

ბაშინჯაღიანმა კარგად იცოდა აგრეთვე ქართული ენა, საიდანაც აქვს რამდენიმე თარგმანი. გ. ბაშინჯაღიანს მეტად უყვარდა ძველი თბილისი და მისი ისტორიული წარსული, აშუღ-მგოსნები. სხვათა შორის, განსვენებულის თაოსნობით იყო, რომ 1914 წ. სომეხ-მწერალთა ამხანაგობამ ძეგლი დაუდგა ცნობილ აშუღ-მგოსანს—საიათნოვას, მეიდანის წ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

გევორგ ბაშინჯაღიანი დიდი ხელოვანი იყო, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. ის მთელი 45 წლიწადი ემსახურა ხელოვნებას და თავის ძალ-ღონე შესწირა საერთო კულტურას.

განსვენებული ამ ბოლო ხანებში ხატავდა ერთ დიდ სურათს თანამედროვე ცხოვრებიდან, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

ბაშინჯაღიანის სახელი დაუვიწყარი დარჩება საერთოდ ხელოვნების და კერძოდ სომხურ ლიტერატურის ისტორიაში.

განისვენე ტკბილად დიდო ხელოვანო და საუკუნო იყოს ხსენება შენი.

სურენ ავჩიანი.

კინო სოფლად

კახეთში.

მიმდინარე ზაფხულს საქართველოს პროლეტკულტმა მოაწყო აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში მოძრავი კინოსეანსები, რომელიც გაგრძელდა ერთ თვეს აგვისტოს დამლევიდან სექტემბრის დამლევამდე. ნაჩვენები იყო საქართველოს კინომრეწველობის ორი სურათი „არსენა ყაჩაღი" და „არსენ ჯორჯიაშვილი". ერთი თვის განმავლობაში მოძრავმა კინომ შემოიარა კახეთის 16 პუნქტი: სართიჭალა, საგარეჯო, ხაშმი, გომბორი, ვაჩნაძიანი, გურჯაანი, ბაკურციხე, კარდანახი, ანაგა, წნორი მაჩხაანი და ლაგოდეხი. გამართულ იქნა სულ 24 სეანსი; მათ შორის ერთი უფასო იყო. მოძრავი კინოსეანსებს დაესწრო სულ 6.613 მაყურებელი—გლეხები და მოჯამაგირეები. მრავალ ადგილას კინო-სეანსები მიმდინარეობდა ღია ცის ქვეშ. ამ სეანსებმა კახელ გლეხობაში დიდი პოპულიარობა მოიპოვა. გლეხები არ კმაყოფილდებოდენ მხოლოდ სურათების ნახვით, და ითხოვდენ კინოაპარატის მოწყობილობის ახსნა-განმარტებას.

თბილისის მაზრის სოფლებში

კახეთში გამგზავრებამდე მოძრავმა კინომ შემოიარა თბილისის მაზრის შემდეგი სოფლები: კოდა, ასურეთი, [illegible]. გარდა ამისა ყოველ კვირა ერთხელ კინო-სეანსები ეწყობოდა თბილისის ახლო მდებარე სოფლებში, მაგ. ალბულახში მოეწყო 4 კინო-სეანსი, კოჯორში—3 კინოსეანსი, თითო-თითო სეანსი სოფელ პრიუტში, მუხრანში, გერმანელების ახალშენ—მარიენფელდში და სად[illegible] ახლო მდებარე სასოფლო-სამეურნეო კომუნაში.

ქუთაისის მაზრის სოფლებში

სექტემბრის დამლევს ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი პოლიტ-განათლების განყოფილების მოძრავი კინო კინო-სურათების „არსენ ჯორჯიაშვილის" და „არსენ-ყაჩაღი"-ს სადემონსტრაციოდ გაემგზავრა ქვემო იმერეთის სოფლებში. ჯერჯერობით სეანსები მოეწყო ბაღდადის და სვირის რაიონში, სადაც კინო-სეანსებს დაესწრო 16.107 გლეხი.

ხელოვნების ქრონიკა

— წითელარმიელთა ცენტრალური საზამთრო კლუბი გაიხსნება ამა თვის 20-ს.

— სახელმწიფო ოპერაში. წელს გაუქმებულია ბენუარის ლოჟები, რომლებიც გადაკეთებული იქნა ბენუარის ადგილად, მუშათათვის ხელმისაწვდომ ფასებზე.

მუშათა ცხოვრება

მუშკორთა საქალაქო კონფერენცია

ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ქ. თბილისის ყველა გაზეთების, მუშკორების და კედლის გაზეთების კორესპონდენტების საერთო საქალაქო კრება.

კრებაზე ამხ. ყურულაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: მუშკორები და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების არჩევნები.

სასურველია ყველა მუშკორების გამოცხადება.

თბილისის კომიტეტის მდივანი ახრიბეკოვი.

ჩაის ფულის მიუღეთ

(ძლიერ თამბაქოს ტრესტს პატარა ფელეტონის მაგიერ)

— ანდრუშა!—ანდრუშა!—ეძახის ერთი მუშა მეორეს.

— რა გინდა!—მეჩქარება, საქმე მაქვს.

— ვიცი, რომ საქმე გაქვს, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო. თუ ძმა ხარ, სწორეთ გამაგებინე, მითხარი, რაშია საქმე.

— შენ ხომ იცი, რომ ჩვენ, თუთუნის ქარხნის მუშებს, კოლექტიური ხელშეკრულება გვაქვს.

— მაშ, რაღა მუშა ვარ, თუ ეგეც არ ვიცი!

— ისიც იცი, რომ სხვათა შორის ერთ მუხლში იქ შეტანილია, რათა ჩვენ ყოველდღე მიგვეცა ხმელი ჩაი, მაგრამ ამ ხუთი თვის განმავლობაში ფიქრადაც არ მოსვლია დირექციას ამ მუხლის შესრულება...

— ვიცი, მერე!

— ეხლა მითხარი, რამდენი გვერგებოდა თვეში ე. ი. 24 სამუშაო დღეში, თუ დღეში ორ კაპეიკს ვიანგარიშებთ ჩაის ფულათ?

— მაგას რა ანგარიში უნდა, შე კაცო,—48 კაპეიკი და ხუთ თვეში კი—2 მან. და 40 კაპეიკი.

— ჩვენ კი მოგვცეს ხუთ თვეში ზოგს—39 კაპ. და ზოგს 20 კაპ. და ნაკლებიც.

— როგორ?—დღეში 2 კაპეიკის ჩაი არ მოგვცეს?

— არა. ეხლა მინდა ვიანგარიშო თუ დღეში რამდენი კაპეიკი მოგვდის ჩაის ფულათ იმ თანხიდან, რაც ჩვენ მოგვცეს.

— ასე ადვილი ხომ არ არის, ხუთი თვის განმავლობაში მოგროვილი ჩაის ფული—30 კ. რომ ერთად მოგვცენ. ამას დიდი ბუხჰალტერია სჭირდება. აბა იანგარიშე დღეში რამდენი მოგვდის.

— კარგი, ამხანაგო! ამაღამ დავჯდები, ვიანგარიშებ და ხვალ შეგატყობინებ შენცა და შრომის ინსპექტორსაც.

— ძალიან მადლობელი ვიქნები.

მუშკორი ამბალი.

ჩვენი ადმინისტრაციის უთავობა

(შრომის ინსპექციის და მთ. სახელ. შრომის დაცვის კომისიის საყურადღებოთ).

მთავარ სახელოსნოებში ადმინისტრაციამ გასცა სასწრაფო განკარგულება, რათა საანგარიშო გადაეტანათ საექიმო ამბულატორიაში და ამბულატორია და შესაკვეთი მაგიდა კი გადმოეტანათ საანგარიშოში. ამან კი გამოიწვია შემდეგი: ამბულატორია მოათავსეს ორ პატარა ბნელ ოთახში, რომლის ირგვლივ საშინელი ხმაურობაა და ექიმს საშუალება არ ეძლევა გასინჯოს ავადმყოფი. ამავე დროს ამბულატორიის იმ ოთახებში დატოვება ზამთრისათვის შეუძლებელია. ოთახებს არა აქვს კარიდორი და მასში სისუფთავის დაცვა ყოვლათ შეუძლებელია.

ყოფილ ამბულატორიაში (ეხლა საანგარიშოში) მოანგარიშეები სივიწროვის გამო ერთი მეორეს გვერდს ვერ უვლიან.

რომ გამოიწვია ასეთი შეუფერებელი გადაჯგუფება და ან რისთვის არ იყო ეს შეთანხმებული ან ამბულატორიის ექიმთან და ან შრომის დაცვის კომისიასთან?!

მუშკორი ციც.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ფული თუ ჯანმრთელობა. ზაჰესის პირველ უბანში მთავარ საგუბარის სამუშაოები აქვთ ნარდათ აღებული 12 კაცს, რომლებიც დღიურათ აკეთებენ 12—14 მანეთამდე და ხელფასის მხრივ ისინი კმაყოფილი არიან, მხოლოდ მათ მუშაობა უხდებათ თითქმის 24 საათის განმავლობაში; დროზე ისინი ვერ სადილობენ; ძილის და დასვენების დრო თითქმის არა აქვთ.

შრომის ინსპექტორო, ერთი შენც გაეცანი ამ საქმეს.

ზაჰესის მუშა კ. კერესელიძე.

— მოგვეცით წყალი. კათოლიკეების ქ. სახ. № 4-ის ეზოში უმეტესად — მუშები და — მოსამსახურეები [illegible] 4 თვე სრულდება მას შემდეგ, რაც წყალი დაგვიკეტეს. წყლის საფასური ალმასკომში შეგვაქვს დროზე ერთი კერძო მეურნის საშუალებით.

დავიტანჯეთ უწყლოდ; გაგვიხსენით წყალსადენი.

მუშა დატანჯული.

— გაანათეთ ეს ქუჩა. ფალავანდოვის ქუჩაზე არ არის ელექტრო-განათება. აქ ღამით საშინლათ ბნელა. აქ უმეტესად მუშები ცხოვრობენ. განცხადება შევიტანეთ ალმასკომის კომუნგანყოფილებაში, მაგრამ დღემდე ჩვენთვის ვერავის მოუცლია.

გ. ლომიძე.

— აღმასკომო, რაშია საქმე? თბილალმასკომი ქალ. განაპირა მუშათა უბნებს წყალს უფასოდ აძლევს, მაგრამ ყველას კი არა, მხოლოდ ზოგიერთ ბედნიერებს.

რითაა გამოწვეული ასეთი განსხვავება მუშათა უბნებს შორის?!

მუშკორი გაზელი.

— შრომის ექსპლოატაციას მაინც არ მოელო ბოლო! თბილისის დეპოს საწყობში მუშაობს ოთხი მუშა, რომელთაც ევალებათ საწყობში მუშაობის გარდა აბანოში მუშაობაც, რაც მათთვის მეტად მძიმეა. ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს მათ არ აძლევენ.

შრომის ინსპექციავ, დროა მოსპო შრომის ექსპლოატაცია.

მუშკორი დევნილი.

— აქაც ქურდები აღმოაჩინდენ. თბ. სახ. უნივერსიტეტში ქურდობა გახშირდა, რის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა შენობა ღამე ოთხკუთხივ განათებული იყოს, რათა ღამის დარაჯს შეეძლოს უკეთესად თვალყურის დევნა.

მუშკორი შალიელი.

— ასეთი ექიმი მადლობის ღირსია. ბაკურიანის დასასვენებელ სახლის გამგე ექ. გრ. ზახარიანცი მადლობის ღირსია თავის დაუღალავ შრომის და მუშა-მოსამსახურეებისადმი კარგად მოპყრობისათვის.

ივ. ალგეთელი.

— ეს საქმე მოაგვარეთ. მესამე რაიონის მეორე კოლექტივი დარბაზში არც სინათლე და არც წყალი აქვს, რაც მათ მეცადინეობას დიდათ ხელს უშლის.

მიაქციეთ ყურადღება.

ახკორი ბევიაშვილი.

წერილები სოფლებიდან

უნდა მოიძებნოს და სამაგალითოდ დაისაჯოს

კოჯრის „ეპო"-ს გამგე შალამბერიძე უკვე მესამეჯერ „გვაბედნიერებს" თავის სტუმრობით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. იყო ერთი წერილი მის საეჭვო ყოფა-ქცევის შესახებ. ყურიც არავინ ათხოვა. მეორეჯერ დაიწერა, რომ შალამბერიძე აღარ ხუმრობს, „ეპო" თავის საწველ ფურად გადააქციაო.

როგორც სჩანს ამის შემდეგ ამოძრავებულა სათანადო ორგანოები და ხელი მიუყვიათ მდგომარეობის გამოსარკვევათ. და აი, 4 ოქტომბერს „ეპო"-ს სარევიზიო კომისიამ მოიწვია კოჯრის თემის საზოგადო კრება მოხსენების გასაკეთებლად. სარევიზიო კომისიის ცნობით გამოირკვა, რომ კოოპერატივის სალაროდან ამ ხნის განმავლობაში მოქ. შალამბერიძეს მოუსწრია კაი გვარიან თანხის დათრევა.

გლეხებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ცნობამ, რომ კრების დაშოშმინება მთელი ორი საათის განმავლობაში არ მოხერხდა. თვითონ მოქ. შალამბერიძე, რასაკვირველია, კრებაზე არ გამოცხადებულა „ავადმყოფობი"-ს გამო. მაგრამ ეს ავადმყოფობა მეტათ უცნაური აღმოჩნდა. ავადმყოფი სრულიად გაქრა კოჯრის მიდამოებიდან. მას ვეღარ პოულობს ადგილობრივი გლეხების თვალი.

სად უნდა ეძებოს კოოპერატივმა დანაკლისი?—ვინ აანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც შალამბერიძემ კოჯრის „ეპო"-ს მიაყენა?—მაგრამ ეს ზარალი რათ ღირს იმასთან შედარებით, რა უარყოფითი გავლენაც ამ ბოროტმოქმედებამ სოფელზე მოახდინა.—გლეხებმა იმდენათ დაჰკარგეს რწმენა კოოპერაციისადმი, რომ აღარ ღებულობენ ცეკავშირის გამოგზავნილ შალამბერიძის მოადგილეს. „შენც იმის თესლის იქნები, იკმარეთ რაც სოფლის ფულით ჯიბეები გაივსეთო".

თემალმასკომს განზრახვა ჰქონდა შინდისში და ტაბახმელაში გაეხსნა კოოპერატივები. მაგრამ ასეთ პირობებში ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასეთი სამსახური გაუწია მოქ. შალამბერიძემ კოოპერაციას თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის დროს.

ამრიგათ კოოპერატივების გარშემო მასების გაერთიანებისაკენ მიმართული მთელი ჩვენი ცდა, კოოპერაციის იდეის დაუსრულებელი პროპაგანდა - აგიტაცია წყალში ცვივა „შალამბერიძეების" მეოხებით. ასჯერ თქმულა და ასერთჯერ ვიმეორებთ—დაუნდობლათ უნდა გაუსწორდეთ ხალხის ქონების მტაცებლებს.

რათაც არ უნდა დაჯდეს, შალამბერიძე უნდა მოიძებნოს და სამაგალითოდ დაისაჯოს. ამაზე უკეთეს სამსახურს ვერავითარი მჭერმეტყველი პროპაგანდისტი ვერ გაუწევს კოოპერაციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ ზომების მიღებას არ დააყოვნებენ სათანადო ორგანოები.

ა. ბ-ლი.

ჩარჩების ოინები

მოვიდა შემოდგომა და სოფლის მშრომელმა გლეხკაცობამ უკვე დაიწყო თავისი ნაამაგარის ბაზარზე გატანა. მაგრამ საწყალ გლეხკაცს აქ ათასი მახე აქვს დაგებული, ყველა მის მოტყუებას და მისი ნაწარმოების ჩალის ფასათ ხელში ჩაგდებას ცდილობს.

გორის მაზრაში ბევრი სადგურია რკინის გზის ლიანდაგზე, რომლებშიაც მთელი შემოდგომა გაცხარებული ვაჭრობა სწარმოებს. აი ამ სადგურებში მოკალათებული არიან ჩარჩები, რომელთაც გვერდს ვერ აუქცევს ჩვენი გლეხკაცი. აუარებელი კომბოსტო, კართოფილი, ბზე, თივა, ხილი მოდის ამ სადგურებზე. ჩარჩები გლეხის მიერ მოტანილ საქონელს ჩალის ფასად იგდებენ ხელში და მერე შეაყენებენ ურემს სასწორზე ასაწონათ. გლეხობას არაფერი გაეგება ამ სასწორების და ის სრულიად დამოკიდებულია ჩარჩის სინდისზე. მაგრამ რა ღირსებისაც არის ჩარჩის სინდისი ეს ყველამ ვიცით და გლეხიც სტყუვდება. გარდა ამისა, ყველა ჩარჩს ჩვეულებათა აქვს ფუთზე ზევით რამდენი გირვანქაც არ უნდა იყვეს, მუქთად უნდა წაიღოს, გირვანქები არაფრად ითვლება. უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ჩარჩს აქვს საკუთარი სამიკიტნო და აი ამ სამიკიტნოში დაიწყება გამყიდველის ხარჯზე დაუსრულებელი სმა და ქეიფი. ჩარჩი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაახარჯვინოს გლეხს, მეტი ტყავი გააძროს და ცარიელ-ტარიელი გაუშვას სახლში. ხშირად საბრალო გლეხკაცი ხელცარიელი მიდის სახლში დამთვრალ-გალეშილი.

ამის მაგალითი ბევრია. საჭიროა უპირველეს ყოვლისა ჩვენი კოოპერატივები იძენდნენ გლეხკაცის ნაწარმოებს და, გარდა ამისა, საჭიროა სამიკიტნოები სრულიად მოისპოს სადგურებთან.

შირინბეი.

წერილებიდან

გორი

უდროო რევიზია. გორის მუშათა კლუბში აჩვენებდენ კინო სურათს. მეოთხე მოქმედების შემდეგ დარბაზს მოეფინენ სრულიად უცნობი კონტროლიორები და დაიწყეს ბილეთების სინჯვა. ბილეთიან ხალხმა პროტესტი განაცხადა, რადგან დარბაზის მოულოდნელი არევ-დარევა სრულიად აჭრიწყლებდა სურათისგან მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს პირველი შემთხვევა არაა გორის კლუბში. ეს იმის ბრალია, რომ კლუბის ადმინისტრაცია სამსახურის საათებს სამიკიტნოებში ატარებს.

მაყურებელი.

ს. ქვალონი (ზუგდ. მ.)

აუკრძალეთ მოწაფეთ ვაჭრობა. როდესაც მატარებელი ჩამოდგება სადგ. ქვალონში, მას გარშემო ეხვევა ხილით და სოფლის სხვა სანოვაგით მოვაჭრე მოწაფეები. ვაჭრობაში ბავშვები ეჩვევიან ტყუილს და ცუღლუტობას. ქუჩური გინებაც ხშირათ ისმის მათ შორის. თემის საბჭომ და სკოლის გამგემ უნდა აუკრძალოს მშობლებს ბავშვების სავაჭროთ გზავნა.

იადონი.

ხარა (გორ. მ.)

მოკრივე ქალი. აქაურ თემის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ბარბალე მაზოვრაშვილი სილის გაწნაში ერთობ მარჯვე ქალია. ამას წინათ შეუვარდა შინაურ საქმეზე მოდავე რძალსა და მულს და ერთ მათგანს იმდენი ურტყა, რომ სიკვდილამდე მიიყვანა. ასეთი გასამართლება არა თუ ქალისაგან, მამაკაცისაგანაც არა გვსმენია.

ალექსი-ალი.

ზემო-სვანეთი.

კაცის მკვლელი ექიმი. აქ არის ექიმად ვინმე ნიჟარაძე. მან უდანაშაულოთ გამოასალმა სიცოცხლეს მისი შინა მოსამსახურე ოსმალო, რომელიც იმპერიალისტურ ომის დროინდელი ტყვე იყო და ზემო-სვანეთში შემორჩა. ნიჟარაძემ თავის უხეში მოპყრობით იძულებული გახადა მოსამსახურე აქედან გაქცეულიყო. გზაზე დაეწია მას მხეცი ექიმი, დაახალა თოფი და მოკლა. დღეს ეს საქმე მიჩქმალულია. ასეთი ექიმი რა მკურნალობას გაუწევს მშრომელ სვანებს?

სვანი.

სოფლის ქრონიკა

— ქათმის ჭირი. სამი წელიწადია საგარეჯოს თემში (გარე-კახეთი) ქათმის ჭირი მძვინვარებს. საჭიროა ამას დროზე მიექცეს ყურადღება.

— დაჭრა. 1 ოქტომბერს, ღამით, სოფ. საგარეჯოს (გარე-კახეთი) მცხოვრები ალ. არჩვაძე ჩავიდა ლ. გულისაშვილის ვენახში; მეველემ ორჯერ ესროლა გულისაშვილს თოფი და მძიმედ დაჭრა.

— სიმინდის მოსავალი. სოფელ საგარეჯოს გლეხები უკვე შეუდგენ სიმინდის მოკრეფას. მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

— მისაბაძი მაგალითი. ამხ. ა. კვაჭაძემ ლიხაურის შვიდწლედის სკოლის ბიბლიოთეკას შესწირა 92 ცალი წიგნი.

— შაქრის ქარხანა. გორის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე გორის მაზრაში შაქრის ქარხნის აგების შესახებ.

— სასაკლაო ჭიათურაში. შორაპნის სამაზრო აღმასკომმა ჭიათურაში სასაკლაოს ასაგებად გაიღო 4100 მან.

— გორის აღმასკომმა კომისია შეადგინა თემალმასკომების მუშაობის შესასწავლად.

— ბანკის განყოფილება. გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გორში სახელმწიფო ბანკის გახსნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა დამსახურებული საპენსიო სტაჟი?

კითხვა

უკვე 33 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მე დავიწყე მასწავლებლობა სოფლის ერთ-ერთ დაბალ სასწავლებელში. 1905 წ. მე ვიქენი დაპატიმრებული და როგორც „პოლიტიკურად არა სანდო პირი“ ვიქენი გადასახლებული ათი წლით ცივ ქვეყნებში. მე ეხლაც მასწავლებელი ვარ.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, მეკუთვნის თუ არა პენსია, მეთვლება თუ არა ცივ ქვეყნებში გატარებული 10 წელი საპენსიო სტაჟში.

ძველი მასწავლებელი პ—დე.

პასუხი

სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს განმარტება № 116 | 908-ის 1925 წ. 9 აპრილიდან, თქვენ გეთვლებათ სამსახურის სტაჟში ის წლები, რომლებიც თქვენ გაატარეთ პოლიტიკური სასჯელის მოსახდელად ცივ ქვეყნებში 1917 წ. რევოლიუციამდე.

სინამდვილე და ხანგრძლივობა (პოლიტიკური დანაშაულის) სასჯელის მოხდისა აუცილებლად უნდა იქნეს დადასტურებული სათანადო საბუთებით და მოწმობებით (როგორიცაა—მაგ. პარტორგანიზაციის ცნობა, პოლიტ-კატორღელთა საზოგადოების მოწმობა და სხ.)

პირადათ თქვენ, საპენსიო სტაჟი უკვე დამსახურებული გაქვთ.

წყალის გადასახადის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ა.-კ. რკ. გზის მთავარ სამასალო საწყობში. თვეში ვღებულობ 34 მ. და 91 კ. ვარ არტელიდან გამოგზავნილი. ვსარგებლობ დამზღვევი სალაროთი. ვცხოვრობ გოგოლის ქუჩაზე № 48, სახლის ქირას ვიხდი, როგორც მოსამსახურე, მხოლოდ წყალის ფულს მახდევინებენ როგორც კერძოს.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორც კერძომ ისე უნდა გადავიხადო წყალის ფული თუ როგორც მოსამსახურემ?

გიორგი მგელაძე.

პასუხი

თითოეულ თქვენ მიერ დახარჯულ ვედრო წყალზე თქვენ გადაგხდებათ კაპეიკის ერთი მეოთხედი, როგორც სხვა მუშა-მოსამსახურეთ.

როგორ მოვიქცე და რა გადავიხადო ბინის ქირად?

კითხვა

ვცხოვრობ მე-12 კომ. ანდრეევის ქუჩა № 5, მაქირავს ბინა 70 ოთხკ. არშინი, სამზარეულოთი და საკუთარი შესასვლელით. სახლს სჭირდება კაპიტალური შეკეთება. ვსთხოვე სახლის პატრონს მიმდინარე წლის იანვარში ბინის შეკეთება. მან მოითხოვა ქირის მომატება, რაზედაც მე დავთანხმდი, თუ კი შეაკეთებდა ბინას, რის გამო თვეში ვიხდიდი შვიდ მანეთს. მან კი ბინა არ შეაკეთა და ამ ბოლო ხანებში მეც შევწყვიტე ბინის ქირის მიცემა და გადავწყვიტე ბინის ჩემის ხარჯით შეკეთება.

გთხოვთ განმიმარტოთ: მაქვს თუ არა უფლება ზედმეტათ გადახდილი ქირა დაუქირო მომავალ ბინის ქირიდან, შევაკეთო ჩემი ხარჯით სახლის სახურავი და შესასვლელი (პოდიეზდი) და შეკეთებაზე დახარჯული ფული დაუქირო ბინის ქირიდან; რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ბინის ქირად? ჯამაგირს ვღებულობ 62 მანეთს თვეში, ვარ კავშირის წევრი (საწევრო წიგნაკი № 98825).

ვ. ხუროძე.

პასუხი

თანახმად ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება № 88-ისა კაპიტალური შეკეთება სახლს უნდა გაუკეთოს სახლის პატრონმა, მაგრამ თუ კი ის სახლს არ შეაკეთებს, თქვენ გაქვთ უფლება შეაკეთოთ ბინა და შეკეთებაზე დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაუკავოთ; ბინის ქირად თვიურად იხდით, როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები, შვიდ აბაზსა და სამ კაპეიკს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 31

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოების გამოკვლევის შესახებ სოფლად 1925 წ.

რათა შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოება სათანადოთ შესწავლილ იქნეს და აგრეთვე 1926 წ. განზრახული სრულიად საკავშირო აღწერებისათვის შეკრეფილ იქნეს საამისოდ საჭირო მასალა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოების გამოკვლევა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სოფლებში.

2. გამოკვლევის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს

3. ამ გამოკვლევის ტეხნიკური განხორციელება-კი ადგილობრივ დაეკისროს თემისა და სოფლის საბჭოებს მათი სრული პასუხისმგებლობით.

4. სოფლისა და თემის საბჭოებს მიეცეს უფლება გამოკვლევის განსახორციელებლად გამოიყენონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო და სარაიონო ალმასკომების ორგანოების ადგილობრივი თანამშრომლები.

5. გამოკვლევა დაწყებულ იქნეს ა/წ. ოქტომბრის 15-ს, ხოლო დამთავრებული—ერთი თვის განმავლობაში.

6. სოფლისა და თემის საბჭოები შეკრებილ მასალას წარუდგენენ საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს—მისი ადგილობრივი ორგანოების (სამაზრო სტატბიუროებისა და რესპუბლიკ-ნური სტატსამმართველოების) მეშვეობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთამმართველი ალ. **სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 8

თბილისი-სასახლე

პარტიული და საბჭოთა ცხოვრება

პარტიული

— შაბათს, 10 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

— ყველა ის ამხ. ამხ., რომლებმაც გაათავეს ცენტრ.-პარტ-სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, სცხოვრობს ამ ჟ.-მად თბილისში, ცეკას სააღ.-განმანაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს, რათა 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ სააღ. განმანაწ. განყოფილებაში.

სააღ. გან. განყ. გამგის მაგიერ: **ლომიძე.**

— „რემედას“-ის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 10 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება „რემედას“-ის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა „რემედას“-ის რაიკომის პრეზიდიუმის წევრების და კანდიდატების დასწრება.

— „რემედას“-ის არსენალის რაიონული საბჭო იტყობინება, რომ შაბათს, 10 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, წითელი თეატრის (ყოფ. სახალხო სახლი) შენობაში მოწვეულია „რემედას“-ის არსენალის რაიონის ფართო რაიონული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. „რემედას“-ის თბილისის კომიტეტის საინფორმაციო მოხსენება.
3. რაისაბჭოს ანგარიში.
4. არჩევნები.

სავალდებულოა ყველა დელეგატების გამოცხადება დაუგვიანებლად.

არსენალის რაიონული საბჭო.

შავი ზღვის სანაპიროზე

საბჭოთა აფხაზეთის ⋙ კურორტები ⋘

შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის სეზონი 1925—26 წელს

საბჭოთა აფხაზეთის ⋙ კურორტები ⋘

შავი ზღვის სუბტროპიკები

გულრიფში ამხ. ლენინის სახელობის სანატორიუმი ფილტვის ტუბერკულიოზიან ავადმყოფთა სანატორიული მკურნალობა გახსნილია 15 ოქტომბრიდან 1 ივნისამდე.

სოხუმი „4 მარტის“ სახელობის (ყოფ. აზრა) სანატორიუმი—გახსნილია 1 ოქტომბრიდან 1 ივნისამდე. სანატორიუმებს ემსახურებიან მაღალ-კვალიფიციური ექიმები.

გაგრი პირველხარისხოვანი საზღვაო კლიმატიური სადგური—იმათთვის, ვისაც ესაჭიროებათ დასვენება და ჯანმრთელობის დაბრუნება მძიმე ავადმყოფობათა შემდეგ. ამხ. ვოროვსკის სახელობის სანატორიუმი.

ცნობების მიღება, ადგილების დაკავება, ხელშეკრულებების დადება თბილისში მუდმ. წარმომადგენელთან ექიმ არჯევანიძესთან, სასამართლოს ქ. № 15. ნ. 4. 1—1

სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა საზ-ბა „აბრეშუმი“ ღრმა მწუხარებით ატყობინებს თანამშრომლებს სამტრედიის ძაფის სახვევ ქარხნის დირექტორის დიდად პატივცემულ

მარკარ დავითის ძე

სარქისოვის

უეცრად გარდაცვალებას ქ. თბილისში, 7 ოქტომბერს

ქვ. 118—1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გიორგი (იგივე დავითი) პეტრეს ძე, შვილები: პლატონი, ტატიანა, ოლღა და ვალენტინა. რძალი ელენე რომანის ასული, სიძეები ვლადიმერ ვასილის ძე გლუშკოვი, გრიგოლ კონსტანტინეს ძე დარასელია, შვილის შვილები ნინო, ვოვა და თემგიზი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ეფროსინე შამას ასული

ბერძენისა

გამოსვენება მოხდება კვირას, 11 ამა თვეს, ნაშუადღევის 3 საათზე თბილისის ქუჩიდან საფიჩხიის სასაფლაოზე ქ. ქუთაისში.

ქვ. 117 1—1

ელისაბედ დავითის ასული დგებუაძისა და მისი ქალიშვილი ანასტასია ულრმეს მადლობას უხდიან იმ ამხანაგებს და აგრეთვე ნათესავებს და ნაცნობებს, რომლებმაც დიდი პატივი სცეს საყვარელი მამის

დიმიტრი ნიკოლოზის ძე

დგებუაძის

დაკრძალვის დროს

ქვ. 108 1—1

[illegible] დედა— პატკუ დუტუს ასული, მამა—ბესარიონ ოტიას ძე პატარიძე, ძმები: ელისო და გრიგოლი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სრულდება ერთი წელი, რაც დავკარგეთ ჩვენი უძვირფასესი პირველი, შვილის მეორის ძმა

კოლია (ნიკოლოზ) ბესარიონის ძე

პატარიძე

რომლის ხსოვნის აღსანიშნავად იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი დღეს, კვირას, 11 ოქტომბერს, ქალაქ სამტრედიაში, წმიდ. გიორგის ეკლესიაში.

114 1—1

რადგან ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები, აგრეთვე ყოველი ქართველი ინტელიგენტი: დაწესებულებათა მოხელენი, ინჟინერები, ტეხნიკოსები, ექიმები, მასწავლებლები, მოწაფეები, სტუდენტები, ბუხჰალტრები, მთარგმნელები, მწერლები, მეცნიერები და მოღვაწენი სხვადასხვა დარგში,—დიდ გაჭირვებას განიცდიან დაწესებულებათა გაქართულების გატარების დროს, ან სხვადასხვა ტერმინების თარგმნისას, შესაფერი სიტყვარის უქონლობის გამო, ამიტომ შევუდექით გამოცემას

ფართო და სწორი

პროფ. იუსტინე აბულაძის

ქართულ-რუსული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.
ქართულ-რუსული ლექსიკონი—2 ტ.—300 გვერდი.

და

რუსულ-ქართული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.
რუსულ-ქართული ლექსიკონი—2 ტ.—300 გვერდი.

წინასწარი ხელისმოწერით ოთხივე წიგნი ღირს 14 მანეთი.

რადგან ქაღალდი ძალიან ძვირი ჯდება, ლექსიკონი გასასყიდათ **სრულებით არ გამოვა.** ასე, რომ ვისაც არ სურს დარჩეს უწიგნოდ, მან აუცილებლად წინასწარ ხელი უნდა მოაწეროს. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად **რვა თვის განმავლობაში,** მაგრამ პირველი ნაწილი ღირებულებისა აუცილებლად შემოტანილი უნდა იქნეს დღიდან ამ განცხადების მოთავსებისა გაზ. „კომუნისტ“-ში ერთი თვის განმავლობაში ე. ი. 10 ნოემბრამდე, რადგან ამ ხნის განმავლობაში პირველი წიგნის ბეჭდვა დაიწყება და ტირაჟი განისაზღვრება. ლექსიკონში შევა ყველა ტერმინები, **მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების ყველა დარგთათვის** (ფიზიკო-მატემატიკური, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, აგრონომიის, ფილოსოფიის, ტეხნიკური, **რკინისგზის სამმართველოსი,** ფოსტა-ტელეგრაფის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხელოვნების, ფინანსიური, იურიდიული და სხვა და სხვა). დაწესებულებებს ჩამოივლიან გამომცემლობის წარმომადგენელნი და შეადგენენ სიას ხელისმომწერთა; ერთი წლის განმავლობაში ხელისმომწერნი მიიღებენ ოთხივე ტომს აღნიშნულ ლექსიკონისას. ლექსიკონი იქნება დიდი ფორმატისა, ლექსიკონი არის მრავალწლოვანი შრომის და გამოცდილების ნაყოფი.

ნ. 4 5—1. **გამომცემლობა.**

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

14—9

სახელმწიფო ოპერის თეატრი

1925—1926 წლის სეზონი

=დასის შემადგენლობა=

ქალები	ვაჟები
პანკრატოვა	კიპარენკო—დამანსკი
პაპოვა	კავსაძე
ბოკოვა	ქუმსიაშვილი
დანელიანი	სინიცკი
ბარონქინა	ვნუკოვსკი
სედენკო	ფლოროვი
ცაგარელი	ალექსაშინი
მრაველი	ინაშვილი
ვალაცცი	ვენაძე
ვოლჩანეცკაია	ქარცივაძე
მაჭაშვილი	ელიოზიშვილი
გილბერგი	ილინი
ვლადისლავსკაია	ისეცკი
ნეიმან	სუხოდოლსკი
ოლენიკოვა	დემიანენკო
შელუდკოვსკაია	იმერელი
	ლორთქიფანიძე

დირიჟორები: სახალხო არტისტი **ვანო ფალიაშვილი,** დამსახურებული არტისტი **ს. ა. სტოლერმანი, მელიქ-ფაშაევი.**

მთავარი რეჟისორი **ც. ო. ურბან,** რეჟისორი **გურეხი.**

ბალეტმეისტერი **ხერშეევი,** გუნდის ლოტბარი **ბელსკი.**

სახ. ოპერის გამგე დამსახურებული არტისტი **ს. ი. ევლახიშვილი.**

სეზონი გაიხსნება ოქტ. 13-ს ზ. ფალიაშვილის ოპერით

„აბესალომ და ეთერი“-თ

ოქტომბრის 16 წავა ოპერა

„აიდა“

ბილეთები იყიდება

ნ. 38 1—1

---

10 ოქტომბრიდან

МЕТАЛЛОСИНДИКАТ


Металлургический Синдикат Центрального Района – Москва Кузнецкий мост 10

ТИФЛИССКАЯ КОНТОРА

გადაღმის თივის მოედანზე, 19 თებერვლის ქ. № 80

ნ. 9 1—1 ტელეფონი № 14—19.

ელექტრობით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენის დიაგნოზი

მიხეილ მედევანიშვილის სახელობის

[illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 8. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი **ა. გ. სოლოლაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ. რუსთაველის პროსპ. № 12.

2701—25

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მ. [illegible]). [illegible], სიფილისის და ქირურგიული ავადმყოფობათა ([illegible]) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

კბილის ექიმი **ფ. თ. რასტიან თუმარკინისა**

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა სტომატოლოგიური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ბარიატინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე საშ. სქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6-8 ს-მდე. ძ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმმა **შუხმანმა**

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

1—12

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნით (უბანი). 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **მალაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება **თვალების სნეულებაში.** მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ. 47.

ექიმი **ა. დ. პეპელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

25—1

ექიმი **ვ. ოსიპოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ბავშვთა სნეულებაში 4—6 საათამდე, ლენინის ქ. (ყოფ. ოლღას ქ.) № 7., ზემმელის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 18—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ სამეურნეო-მატერიალური განყოფილების ბინაზე

(თბილისი, სადგურის ქ. № 1)

1925 წ. 5 ნოემბერს, დღის 12 საათზე

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

საგზო და სამჭედლო-საზეინკლო ინსტრუმენტების მიწოდებაზე გზების ნახაზების მიხედვით. ყველა ინსტრუმენტები, რომელთა ღირებულება უდრის დაახლოვებით 109,000 მანეთს, ჩაბარებული უნდა იქნეს თანასწორ პარტიებით არა უგვიანეს 1926 წლის 1 მარტისა. სამმართველო უფლებას იტოვებს შეამციროს ან გაადიდოს დასამზადებელ ინსტრუმენტების რაოდენობა, აგრეთვე გადასცეს მიწოდება იჯარით ერთ პირს სავსებით ან ნაწილობრივ.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა არა უგვიანეს 5 ნოემბრის, დღის 12 საათისა უნდა გამოგზავნონ სათანადო საღერბო გადასახად გადახდილი წერილობითი განცხადებები დახურულ კონვერტებში, რომელთაც თან უნდა ჰქონდეთ დართული ქვითარი რკინისგზის ერთ-ერთ სალაროში გირაოს შეტანის შესახებ, რომლის რაოდენობა უდრის მიწოდების საერთო ღირებულების 10 პროცენტს. განცხადება უნდა გამოგზავნილი იქნეს სამეურნეო-მატერიალური განყოფილების უფროსის სახელზე შემდეგი მისამართით და წარწერით: „1925 წ. 5 ნოემბრის კონკურენციისათვის საგზო და სამჭედლო-საზეინკლო ინსტრუმენტების მიწოდებაზე“. შესაძლებელია აგრეთვე განცხადების ჩაგდება ყუთში, რომელიც გამოკიდულია განყოფილების შესავალ კარებთან.

მისაწოდებელ ინსტრუმენტების თვისებების გასაცნობად აუცილებელია ნიმუშების წარმოდგენა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება მიწოდების პირობების შესახებ შეიძლება ყოველდღე გარდა უქმე დღეებისა, დილის 10-დან 12 საათამდე თბილისში, სამეურნეო-მატერიალურ განყოფილებაში (ოთახი № 318 და 316) და მოსკოვში—კარუნინის მოედანი, № 6 ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოს დამმზადებელ განყოფილებაში.

ნ. 39 1—1

ექიმი **გ. გ. მეგრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ექ. **ნ. პ. ფალაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის, ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათამანზე), [illegible] და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძის შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექ. **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1 2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **ი. ი. ზერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ. ქალებისთვის 12—1 საათ ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი **ვ. ნ. ჩუპრინინი**

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება დილის 9 11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ № 87. 13—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ უიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 34 დავით გიორგის ძე ზომახაშვილის სახელზე ჩ. გ. 103 1—1

დაიკარგა სამსახურის სტაჟის მოწმობა № 3158 და კავშირის წიგნაკი № 250 იოსებ ეგნატის ძე კირვალიძის სახელზე. ჩ. გ. 104 1—1

დაიკარგა პარტ-ბილეთი № 497489 და კავშირის წიგნაკი № 1992 ტატიშა მუშკუდ ანდრიას ძე სახელზე. ჩ. გ. 105 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 14099 დავით ანდრიაძე სახელზე. ჩ. გ. 105 1—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა გაცემული ნეცუბაძის საერთო განათლების კურსებიდან მიხეილ იასონის ძე მეგრელიშვილის სახელზე ჩ. გ. 109. 1—1

დაიკარგა მე-9 მთლიანი შრომის სკოლის გათავების ატესტატი და მეტრიკული ამონაწერი მარო გრიგოლის ასულის ჯავახიშვილის სახელზე ჩ. გ. 111 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი და გიმნაზიის დამთავრების მოწმობა აკაკი დიმიტრის ძე ვაჩნაძის სახელზე ჩ. გ. 112 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გიორგი ოგანესოვის სახელზე. ჩ. გ. 113 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი გალაკტიონ ანასტასის ძე ჯიშმელეიშვილის სახელზე ჩ. გ. 115 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4252 ოგანეს ხოჯაევის სახელზე ჩ. გ. 116 1—1

კბილის ექიმი

ი. გ. ბაქრაძისამ

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2 ს. 4—6-მდე.

ელისაბედის ქუჩა № 117.

№ 107 13—1

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს [illegible] ქუჩა № 4